

კავკასიის ხალხთა ფოლკლორი
ФОЛЬКЛОР НАРОДОВ КАВКАЗА

უბისური ფოლკლორი



УБЫХСКИЙ ФОЛЬКЛОР

„კავკასიური სახლი“  „КАВКАЗСКИЙ ДОМ“

თბილისი * Тбилиси
2001

მთავარი რედაქტორი **ნაირა გელაშვილი**
პასუხისმგებელი მდივანი **თამარ უჯუხუ**
შემდგენელი **რუსუდან ჯანაშია**
სპეცრედაქტორი **ლია ჩლაიძე**

ქართული თარგმანი ელისაბედ ყვაფილაშვილისა,
რუსული – **გივი ორაგველიძე**, რუსუდან ჯანაშიასი

Главный редактор – **НАИРА ГЕЛАШВИЛИ**
Ответственный секретарь – **ТАМАРА УДЖУХУ**
Составитель – **РУСУДАН ДЖАНАШИА**
Спецредактор – **ЛИЯ ЧЛАИДЗЕ**

Перевод на грузинский язык – **Елизаветы Квавилашвили**,
на русский – **Гиви Орагвелидзе**, Русудан Джанашиа.

ISBN 99928-71-16-4

პირველი გამოცემის წინათქმა

1974 წელს ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ბ-ნ ოთარ ნოდის თაოსნობით თბილისში შეიქმნა იმ დროისათვის უჩველო ორგანიზაცია – „მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია“, რომელსაც უბრალოდ „კოლეგიას“ უწოდებდნენ.

„კოლეგიის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა მსოფლიო ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებების თარგმნა ქართულად და ქართულისა მსოფლიოს ხალხთა ენებზე.

მთარგმნელთა კოლეგიის მუშაობის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად იმთავითვე იქცა კავკასიის ხალხთა ლიტერატურული მემკვიდრეობის ათვისება, მათთან მეცნიერული და ადამიანური კონტაქტების დაპყარება.

1977 წლიდან მთარგმნელთა კოლეგიის კავკასიურმა განყოფილებამ, რომელსაც ენათმეცნიერი თამარ უჯუხუ ედგა სათავეში, ოთარ ნოდის უშუალო ხელმძღვანელობით დაიწყო ჩრდილო კავკასიის ხალხთა ფოკლორის მრავალტომეულზე მუშაობა. ეს ურთულესი სამუშაო ჩრდილო კავკასიელ მეცნიერებთან ერთად ხორციელდებოდა.

1990 წლისათვის გამოსაცემად უკვე მზად იყო ადიღური ფოლკლორის ტომი, რომლის მოცულობაც 1000 გვერდამდე აღწევს. მრავალტომეულის კონცეფციის მიხედვით ფოლკლორული ტექსტები სამ ენაზეა წარმოდგენილი: ორიგინალის ენაზე, ქართულად და რუსულად. დართული აქვს წინასიტყვაობა სამივე ენაზე, აგრეთვე ინგლისურად, აღჭურვილია კრიტიკული აპარატით.

მაგრამ 1990 წელს უკვე პოლიტიკური ქართველები არყევდა საქართველოსა და მთელ კავკასიას. ამ ქართველებს ვერც მთარგმნელთა კოლეგია გადაურჩა: იგი, როგორც თავისუფალი აზროვნების ერთ-ერთი კერა, მწერალთა კავშირმა და ძლიერმა პოლიტიკურმა დაჯგუფებამ დაშალა, ოთარ ნოდის ჯანმრთელობა ამ უსამართლობასთან ჭიდილს, მისი უსაყვარლესი ორგანიზაციის გადარჩენისათვის ბრძოლას შეეწირა.

მთარგმნელთა კოლეგიის ერთი ნაწილი 1992 წელს ახალ ორგანიზაციად გადაკეთდა და ძველი საქმიანობა განაგრძო, მაგრამ უკვე არეულ და გაღატაკებულ საქართველოში მთარგმნელობითი და საგომომცემლო საქმიანობა შეუძლებელი გახდა.

ოთარ ნოდის გარდაცვალების შემდეგ (1992 წ.) ჩვენმა ორგანიზაციამ, რომელსაც უკვე საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი — „კავკასიური სახლი“ — ეწოდებოდა, გადაწყვიტა, დიდი გაჭირვების მიუხედავად, მაინც გაეგრძელებინა დაწყებული საქმე. ჩვენ გავაფართოვეთ ფოლკლორის მრავალტომეულის მოცულობა და იგი „კავკასიის ხალხთა ფოლკლორად“ გაქციეთ, ოღონდ, დიდი, აკადემიური სერიის ნაცვლად, რომლის გამოცემაც ჩვენს მატერიალურ შესაძლებლობებს აღემატება, ვცემთ მცირე სერიას — ფოლკლორის ბროშურებს, რომელთაც ანონსის ფუნქციას ვანიჭებთ. დიდი აკადემიური მრავალტომეული კი საჭირო თანხების მოპოვებისთანავე გამოვა.

* * *

და აი, დღეს, როდესაც „კავკასიის ხალხთა ფოლკლორის“ გამოცემას ვიწყებთ, კავკასია — ჩვენი მშვენიერი საცხოვრისი — სისხლისმღვრელი ომებითაა გაჩანაგებული, ომებით, სისხლიანი იმპერიის დაშლას რომ მოჰყვა...

ხოლო „უბიხური ფოლკლორი“, ამ სერიის პირველი წიგნი, გულსშემძვრელად შეგვახსენებს იმ ტრაგედიას, გასულ საუკუნეში რუსეთის მიერ ჩრდილო კავკასიის დაპყრობის შედეგად რომ დატრიალდა.

ჩრდილო კავკასიელთა ლამის ასწლიანი, გმირული ბრძოლა რუს დაპყრობთა წინააღმდეგ მათი ერთი ნაწილის ფიზიკური განადგურებით და სხვა ნაწილის დეპორტაციით დასრულდა:

უბიხები — ეს უძველესი კავკასიელი ხალხი კი — საერთოდ გაქრა. და აი, არც ისე დიდი ხნის წინ მთელს მსოფლიოს თვალწინ უბიხურმა ენამ, რომელზედაც ერთ დროს მღეროდნენ, ლოცულობდნენ, გოდებდნენ, ფიცს დებდნენ, სიყვარულს უხსნიდნენ და ეფერებოდნენ, მკვდარ ენათა საუფლოში გადაინაცვლა. სამყაროს დიდებული მრავალფეროვნება კიდევ ერთი ფერით გაღარიბდა. და ეს ხომ იგივეა, მზეს რომ ერთი სხივი ჩაუქრეს...

უბიხები — ხალხი, რომელმაც სიკვდილი არჩია თავისუფლების დაკარგვას...

მაგრამ მუდამ იარსებებს წყევლა-კრულვიანი საკითხავი: ნუთუ მხოლოდ ეს გზა არსებობდა? ეგებ სხვა გზაც იყო? აქვს კი ხალხს თვითმკვლევლობის უფლება?

და ახლა ჩვენს წინაშე კავკასიის მოდებული ცეცხლიდან და სისხლიდან, ადამიანთა, ცხოველთა და მცენარეთა სიცოცხლეს რომ ფერფლავს, კვლავ აღმართულა ეს კითხვა; ახლა, როდესაც არც სხვა კავკასიური ომები ჩამქრალა ბოლომდე და ჩეჩნეთის განადგურებაც ისევ გრძელდება...

ეგებ, სხვა გზა უნდა იპოვოს ხალხმა, თუკი მის მოწინააღმდეგეს სხვა გზის პოვნა არ სურს და შინაგანად არც შეუძლია?

ეგებ, ხალხმა თავად უნდა მოიფიქროს გამოსავალი, რათა ქალებსა და ბავშვებს აარიდოს მსახვრელი ხელი, რომელსაც ჯერჯერობით მხოლოდ მოსპობის უნარი შესწევს?

ამ მძიმე შეკითხვასა და სევდას ვაყოლებთ ამ პატარა წიგნს, მასში მოქცეული ლეგენდებისა თუ ზღაპრების ძვირფას სტრიქონებს, რომელთაც მათი შემოქმედი ხალხის შთამომავალნი ვეღარ წაიკითხავენ, ისინი სხვათა საკითხავი იქნება მუდამ...

დე, „კავკასიის ხალხთა ფოლკლორის“ არც ერთ ტომს აღარ შეეძინოს ის ტრაგიკული მნიშვნელობა, რაც ამ წიგნაკს აქვს: იგი სამუდამოდ გამქრალი ხალხისთვის აგებული ჩუმი ძეგლია, ხალხისთვის, რომელსაც სხვა ვეღარაფრით შეგეწევით და შევეხმიანებით.

ნაირა ბელაშვილი

20 თებერვალი

1995 წელი

უბიხები და მათი ფოკლორი

უბიხები წარმოადგენენ აფხაზურ-ადიღური (ჩერქეზული) ეთნიკური ერთობის¹ ერთ-ერთ რგოლს. 1864 წლამდე უბიხები სამშობლოში — ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში — შავი ზღვის გასწვრივ, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე ცხოვრობდნენ. დასავლეთით ისინი შემოსაზღვრული იყვნენ ზღვით; ჩრდილოეთით, მდ. შახეს გაყოლებას — ჩერქეზი ტომებით — შაფსუღებითა და ნათხვაჯებით; ჩრდილო-აღმოსავლეთით მთები გამოჰყოფდა მათ მდ. სპაგვაშას (ბელაიას) აუზისა და აბაძეხებისაგან; სამხრეთით, მდ. ხამიშის (ხოსტას) გაღმა მათ მეზობლობდნენ საძები, აფხაზური მოდგმის ტომი.

უბიხთა მიწა-წყალი ზღვის გასწვრივ სულ 35 ვერსს თუ შეადგენდა (35 ვერსი — დაახლ. 37 კმ). საოცრად ღამაზი ბუნება, დაფარული უღრანი ტყეებით, მათ შორის ბზისა და ურთხმელის უნიკალური რელიქტური ჯიშებით, კლიმატურად არაჩვეულებრივ რეგიონს წარმოადგენდა. აქ მრავლად იყო ბუნებრივი გოგირდოვანი სამკურნალო წყლები (მაცესტა, აგურა), მიწათმოქმედებისათვის გამოსადეგი მინდორ-ველები, მთის მდინარეები: ბუ, შახე, ვარდანე, საშე (სოჩა), ხამიში (ხოსტა)... გაზაფხულზე და დიდი წვიამთანობის დროს ძალიან წყალუხვნი ხდებოდნენ.

უბიხების სამოსახლო მთიან და სანაპირო ზოლებად იყოფოდა. სანაპირო ზოლი შედგებოდა ორი ძირითადი ნაწილისაგან: ჩრდილოეთით — ვარდანესა და სამხრეთით — საშესაგან (სოჩასაგან).

უბიხებს ერთიანი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი არ

შეუქმნიათ. ისინი პატრიარქალურ-ფეოდალური წყობით ცხოვრობდნენ. საზოგადოების მართვაში წამყვანი როლი ფეოდალურ-აზნაურულ საგვარეულოებს ეკისრებოდათ. მაგალითად, მე-19 საუკუნეში სახელი გაითქვა ბარზეგების გვარმა, მათგან განსაკუთრებით პაჯი დაგუმოყვა ბარზეგმა (რუსულ ისტორიულ მწერლობაში დოგომუკოვის სახელით ცნობილმა). პაჯი დაგუმოყვა საუკეთესო კავკასიური ტრადიციებისა და თვისებების მატარებელი ყოფილა. კავკასიის ომში მან თავი გამოიჩინა, როგორც საომარ მოქმედებათა სულისჩამდგმელმა და ორგანიზატორმა. მას კარგად იცნობდა ცნობილი ინგლისელი მოგზაური ჯ. ს. ბელი, რომელმაც მე-19 საუკუნის 30-იან წლებში ჩერქეზებში სამი წელი გაატარა. იგი ბარზეგს „ჩერქეზების ვაშინგტონს“ უწოდებს.

უბიხებს, რომლებიც მცირერიცხოვანნი იყვნენ (როგორც ჩანს, 40 000-ს არ აღემატებოდნენ), აფხაზ და ადიღე ტომებს შორის შუალედური მდგომარეობა ეკავათ, მაგრამ თავისი მსოფლმხედველობით, ფსიქოლოგიური და საზოგადოებრივი წყობით, ცხოვრებისეული წესით, ისინი განსაკუთრებულ სიახლოვეს ჩერქეზებთან იჩენდნენ, მათგან კი ყველაზე მეტად დაახლოებულნი იყვნენ აბაძეხებსა და შაფსულებთან. მათმა უმეტესობამ იცოდა ჩერქეზული ენა, არისტოკრატიულ ფენაში კი ეს ჩვეულებრივი და მიღებული იყო. ზოგიერთი ცნობით, საკუთრივ უბიხური ენა თავის უფლებებს მთიან ზოლში ინარჩუნებდა. მათი სახელწოდება ჩერქეზული სიტყვაა, წარმოშობით მომდინარე უბიხური ფუძიდან, რომელიც შეერქვა მათ და გაგრცელდა. უბიხები თავის თავს თვანის უწოდებენ, თავის ენას კი თვანისზა-ს, რაც გარდა ზეპირი გადმოცემისა, არც ერთ წყაროში არაა დამოწმებული.

მე-19 საუკუნემდე უბიხების შესახებ წერილობით წყაროებში თითქმის არაფითარი ცნობა არაა დაცული, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთი მოგზაურის (ევლია ჩელები, პ. პალასი,

ი. გოულდენშტედტი...) დღიურებს, რომლებშიც აქა-იქ გვხვდება ცალკეული სიტყვები და გამოთქმები, მაგრამ, ჩვეულებრივ, სხვა ენობრივ მასალაში არეული, რადგან მოგზაურთა უმრავლესობა მათ ჩერქეზ ან აბაზა ტომებად მიიჩნევდა. მეცნიერთა ნაწილი ეთნონიმ „უბიხს“ ძველი ავტორების (პროკოფი კესარიელი, VI ს.) ტერმინი „ბრუხოს“ უკავშირებს, მაგრამ ეს მოსაზრება ვარაუდს არ სცილდება.

მშვიდობიან დროს მოსახლეობა მიწათმოქმედებასა და გადარეკვით მესაქონლეობას მისდევდა. ხეხილის ბაღებით განთქმული იყო ვარდანეს ველი. ზოგიერთი ტომი ვაჭრობასაც ეწეოდა. ვაჭრობიდან ძირითადად თურქეთთან. უბიხთა გემები რეგულარულ რეისებსაც კი ასრულებდა.

ვაჭრობა აფართოებდა უბიხთა თვალსაწიერს, აძლევდა მათ შესაძლებლობას, უფრო ღრმად დააკვირვებოდნენ მე-19 საუკუნის დასაწყისში შექმნილ დაძაბულ ვითარებას.

ამ დროისთვის რუსეთის მიერ კავკასიის დასაპყრობად გაჩაღებული ომი, ნიკოლოზ I-ის თქმით, მიზანდ ისახავდა „...მთიელების საბოლოო დაშოშმინებასა და ურჩების საბოლოო განადგურებას“. მართლაც, სულ მალე, კავკასიის დასაპყრობად გაჩაღებული ბრძოლა ხანგრძლივ, უასტიკეს ომად გადაიქცა, რომელიც ოთხ ათეულ წელზე მეტხანს გაგრძელდა. ყველაზე შეურიგებლები ამ ომში სწორედ უბიხები იყვნენ. მონათესავე ტომებთან, პირველ რიგში, აბაძეებთან გაერთიანებულნი, ისინი კარგად გაწვრთნილ რაზმებს წარმოადგენდნენ, რომლებიც მუდმივ მზადყოფნაში იყვნენ მტერზე თავდასხმისათვის და მის მოსაგერიებლად. შეტევისას მეწინავენი იყვნენ, უკან კი უკანასკნელები იხევდნენ. ბრძოლებში თავისი თავგანწირვითა და მამაცობით მოწინააღმდეგეს შიშის ზარსა სცემდნენ. განსაკუთრებული შეუპოვრობით გამოიჩინოდა საშეს ტომი, რომელიც მდინარეების — საშესა (სოჩასა) და ხაშიშს (ხოსტას) შორის ცხოვრობდა.

ეკავათ რა მონათესავე ხალხებს შორის ტერიტორიულად ცენტრალური პოზიცია, უბიები ცდილობდნენ ამ ხალხების საბრძოლო გაერთიანებას, სახელმწიფოებრივ დონეზე ერთიანი წინააღმდეგობის შექმნას, რაც იმდროინდელი ფეოდალური სტრუქტურის მქონე საზოგადოებისათვის განუხორციელებელი წამოწყება იყო. უბიები განსაკუთრებით აქტიურობდნენ კავკასიის ომის ბოლო სამ ათწლეულში. მთელი ამ ხნის განმავლობაში, მიუხედავად დიდი მსხვერპლისა, ისინი სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს; ეხმარებოდნენ ცოცხალი ძალით, ერთი მხრივ, აფხაზებს, მეორე მხრივ, შაფსულებსა და აბაძეებს, მიჰქონდათ იერიში მოწინააღმდეგის ციხესიმაგრეებზე, დაუნდობლად სჯიდნენ მოღალატეებსა და ლაჩრებს. ამასობაში კი მეფის მთავრობა ანაპიდან გაგრამდე, შემდგომ კი, ვიდრე ფოთამდე, ფორტიფიკაციულ ნაგებობებსა და სიმაგრეებს აგებდა „სახმელეთო სანაპირო ხაზის გაყვანის“ სახელმწიფო გეგმის მიხედვით. ეს აფერხებდა მოიელების ურთიერთობას გარე სამყაროსთან, საშუალებას უსძობდა წამთარში თბილი ზღვისპირა საძოვრებით ესარგებლათ. ყველაფერი ეს მათ ძალიან ასუსტებდა. ომის ბედი წინასწარვე გადაწყვეტილი იყო. ამიტომ მოვლენების განვითარებას ველარაფერი აღუდგებოდა წინ: ვერც სამწლიანი შესვენება საომარ მოქმედებაში, გამოწვეული ყირიმის ომით, ვერც კავკასიელი ხალხების თავდადება და ბრძოლა თავისუფლებისათვის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ომი დასასრულს უახლოვდებოდა. „ომის დამთავრების აუცილებელ პირობას“ მეფის ნაცვლის, დიდი მთავრის აზრით, „აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სრული გაწმენდა და მთიელების თურქეთში გასახლება“ წარმოადგენდა.

შაფსულებისა და აბაძეების საბოლოო განადგურების შემდეგ, ჯერი უბიებზე მიდგა. 1864 წლის მარტის თვეში რუსეთის ჯარმა გენერალ ვ. გეიშანის წინამძღოლობით მდ. ასეზუაჰსე გადალახა. ძლიერ შეტევას უბითა მიწა-წყლის

დაპყრობა მოჰყვა. 25 მარტს ჯარმა აიღო საშე (სოჩა) — ქვეყნის ცენტრი. მოსახლეობას გამოუცხადეს შემდეგი:

ყველა, ვინც მიიღებდა თურქეთის სულთნის წინადადებას, გადასახლებულიყო ოსმალეთის იმპერიაში, უნდა დაუყოვნებლივ დაბანაკებულიყო სამი მდინარის: შახეს, ვარდანესა და სოჩას შესართავებში, ზღვის ნაპირზე. მათ, ვისაც სურვილი ჰქონდათ, რუსეთის მთავრობას მოლაპარაკებოდნენ და ამდენად, კავკასიაში დარჩენილიყვნენ, წინადადება ეძლეოდათ, ყუბანს იქით დასახლებულიყვნენ. ასეთი სურვილი სამოციოდე ოჯახმა გამოთქვა. მათთვის სამოსახლოები უნდა გამოეყოთ, მაგრამ შემდგომში ისინი იქიდანაც უფრო შორს, კოსტრომის გუბერნიაში გადაასახლეს.

თურქეთში გასახლება ისეთივე მძიმე გამოცდა იყო, როგორც თვით ომი. ზღვის ნაპირზე საშინელი არეულობა სუფევდა. ასეთ მასობრივ გასახლებაში გამოუცდელიობის უქონლობამ და არაორგანიზებულობამ, ეპიდემიებმა, გეძების მწყობრიდან გამოსვლამ, სიციფემ, შიმშილმა მოსახლეობა ამოწყვეტის პირას მიიყვანა. ნახევარზე მეტმა ვერც მიაღწია საბოლოო მიზანს. 1864 წლის 21 მაისს, უკანასკნელი მუჰაჯირის წასვლის შემდეგ, სანკტ-პეტერბურგში სამეფო კარს ოფიციალურად მოხსენდა მრავალწლიანი უსასტიკესი ომის დამთავრება. იმავე დღეს სამეფო ჯარების გაერთიანებული ნაწილების წარმომადგენლებმა საზეიმო ლოცვა აღავლინეს ომის დამთავრების გამო. 1864 წელი კავკასიის საბოლოო დაპყრობისა და რუსთა მმართველობის დამყარების წლად ითვლება.

1864 წლიდან უბიხები გაქრნენ კავკასიის რუკიდან. მათ დატოვეს წინაპრების მიწა-წყალი, რომელზეც საუკუნობით სახლობდნენ. სამშობლოდან გაძევებულები წვაგდნენ სოფლებსა და ნაგებობებს, ყოველი მხრიდან ისმოდა გოდება და კვნესა... უკვე ივნისის თვეში უბიხთა ქვეყანა უკაცურ უდაბნოს დაემსგავსა. ჩვენს ხელთაა ამ დრამატული გადასახლებ-

ის მონაწილის მოგონება: „ჩვენ გადავწყვიტეთ წავსულიყავით სტამბოლს. სოფელი შეიკრიბა ზღვის ნაპირზე. სტამბოლიდან მოვიდა ორი იალქნიანი გემი. ერთ-ერთზე ავიტანეთ საგზალი და ბარგი, მაგრამ გამგზავრებისას ეს გემი ვეღარ აღმოვაჩინეთ, ამიტომ ჩავსხედით მეორეში. მგზავრობა ძალიან მძიმე გამოდგა. სამსუნთან შიახლოებისას აღმოჩნდა, რომ არ გვიშვებენ ნაპირზე. იძულებული ვიყავით გეში სტამბოლისაკენ აგველო. გზაში გემი გაგვიფუჭდა. არ გექონდა სასმელი წყალი, ვსვამდით ზღვის წყალს. ბევრი დაიბოცა. ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა სტამბოლიდან გემი, რომელმაც წაგვიყვანა ქალაქისკენ ბუქსირით“.

თურქეთში ჩასული უბნები ისევ ჩერქეზებისა და აფხაზების შეზობლად დასახლებას ცდილობდნენ. ჩერქეზები, როგორც უფრო მრავალრიცხოვანნი, დაანაწილეს მთელს იმპერიაში — ანატოლიაში, სირიაში, იორდანიაში... უბნები კი მხოლოდ ანატოლიაში დაასახლეს. ამ ბოლო დროს გაიელვა ცნობამ, რომ თითქოს ისინი ახლო აღმოსავლეთშიც არიან, მაგრამ ამის დამადასტურებელი საბუთი ჯერჯერობით არა გვაქვს.

ორი ყველაზე დიდი ჯგუფი დაასახლეს ქვეყნის დასავლეთ ნაწილში: მანისას რაიონში (ბალიქესირის ვილაიეთი, სოფლები: ჰაჯი ოსმან ქოი, ჰაჯი იაქუფ ქოი...) და საფანჯას ტბის სიახლოვეს (იზმითის ვილაიეთი, სოფლები: ქირქ ფინარი, იანიქი, ქურთ ქოი...). პატარა-პატარა ჯგუფებად უბნები სხვა რეგიონებშიც ჩაასახლეს: სამსუნთან, ადაფაზარისთან, დიუზჯესთან, სამხრეთ-აღმოსავლეთით მარაშის რაიონში.

ახალ ადგილზე სოფლების სახელდება მათი დამაარსებლების სახელების მიხედვით ხდებოდა: მაგალითად, ოსმანმა დაარსა ჰაჯი ოსმან ქოი, იაქუფმა — ჰაჯი იაქუფ ქოი. ზოგჯერ ახალ ადგილებს ძველ, კავკასიურ სახელებს არქმევდნენ. ბუნებრივია, რომ ახლანდელი თაობისათვის ეს ყველაფერი დავიწყების ბურუსშია გახვეული.

ახალი გარემოს უცხო პირობებში დაქსაქსულად დასახლებამ და მცირერიცხოვნობამ უბიძგო ენა გადაშენების გზაზე დააყენა. თუ ამ საუკუნის 30-იან წლებში უფროსი თაობის მცირე ნაწილმა ჯერ კიდევ იცოდა დედაენა, დღევანდელი უბიძგები მთლად გათქვეფილნი არიან ან ჩერქეზებში, ან თურქებში. გასაგებია, რომ ენა პირველ რიგში დაკარგეს მათ, ვინც მოსწყდა სოფელს და ქალაქში გადავიდა განათლების მისაღებად ან სამუშაოს საძებნელად. უბიძგების შთამომავლებში დღეს ნახავთ ექიმს, ფარმაცევტს, ინჟინერს, ქალაქის მმართველობაში მომუშავეს... უბიძგებისათვის დიდი განსაცდელი იყო ბალკანეთის ომში მონაწილეობა. ბევრი მათგანი ჯარში იყო გაწვეული, საიდანაც არ დაბრუნებულა.

* * *

უბიძგური იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ადიღურ ჯგუფს განეკუთვნება, დამწერლობის არმქონეა. მას შუალედური მდგომარეობა უკავია აფხაზურ-აბაზურსა და ადიღურ ენებს შორის. ხმოვანთა სისტემა ძალიან მარტივია, თანხმოყანთა კი — ძალიან რთული. სახელს აქვს ბრუნვის, რიცხვის, განსაზღვრულობისა და კუთვნილების გრამატიკული კატეგორიები. ზმნა მრავალპირიანია, მდიდარი უღლებისა და წარმოქმნის კატეგორიებით. ლექსიკაში ბევრია ნასესხობა ჩერქეზული და თურქული ენებიდან.

უბიძგური ენის პირველი დაუმთავრებელი გრამატიკული მონახაზი ეკუთვნის ცნობილ რუს კავკასიოლოგს პეტრე უსლარს (1887 წ.). უსლარის ინფორმატორი იყო წარჩინებული გვარიშვილი 14 წლის ბარზეგი. ეს ჩანაწერები გაკეთებულია დიდი ემოგრაციის წინ, მაიკოპში, საბრძოლო მოქმედებების სიახლოვეს; სამუშაოს გასრულება ვერ მოხერხდა. ეს პატარა ნაშრომი კარგა ხანს წარმოადგენდა ერთადერთ დამხ-

მარე სახელმძღვანელოს მათთვის, გინც უბიხური ენის შესწავლით იყო დაინტერესებული.

უბიხებისა და მათი ენის შესახებ მასალები იბეჭდებოდა ცნობილ კრებულში "Сб. материалов для описания местностей и племен Кавказа (1881-1915)", რომელიც თბილისში გამოდიოდა.

ახალ სამშობლოში უბიხები პირველად მონიახულა დანიელმა ა. ბენედიკტსენმა 1898 წ. მას გაუკეთებია ჩანაწერები, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამოუქვეყნებია.

უბიხურისადმი ინტერესი მე-20 საუკუნეში გაცხოველდა. აღასნიშნავია ადოლფ დირისა და იულიუს ფონ მესაროშის ნაშრომები, რომელთაც ერთვის ტექსტები და ლექსიკონები. დირის ნაშრომი დაიბეჭდა 1927-1928 წწ., მესაროშისა კი — 1934 წ. მასალა ორივე ნაშრომისათვის შეკრებილ იქნა ადგილზე: დირმა მონიახულა საფანჯას ტბის რეგიონი, მესაროშმა კი — მანისისა.

განსაკუთრებული ღვაწლი უბიხური ენის შესწავლის საქმეში მოუძღვის ცნობილ ფრანგ მეცნიერს, აკადემიკოს ჟორჟ დიუმეზილს (1898-1986). ჟ. დიუმეზილი, შედარებითი მითოლოგიისა და ებოსის, ინდოევროპული ცივილიზაციისა და რელიგიის ისტორის აღიარებული მკვლევარი, კავკასიური ენებითა და, პირველ რიგში, უბიხურით, 20-იან წლებში დაინტერესდა, როდესაც იგი სტამბოლის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა. მას კარგი შესაძლებლობა მიეცა, უშუალოდ დაპკვირებოდა და ადგილზე შეესწავლა კავკასიური ენები ანატოლიაში, ე. წ. „მცირე კავკასიაში“.

1931 წლიდან მოყოლებული დიუმეზილმა გამოაქვეყნა რამდენიმე მონოგრაფია, მიძღვნილი უბიხური და, საერთოდ, კავკასიური ენების გრამატიკული სტრუქტურისადმი. 1955-1971 წლებში მან ჩაატარა არაერთი სამეცნიერო ექსპედიცია და შეაგროვა უძვირფასესი ტექსტობრივი მასალა უბიხური, ჩერქეზული, აფხაზური და ლაზური ენებისა. 1960 წელს დი-

უმეზილმა დაარსა ახალი სერია „კავკასიური ტრადიციებისა და ენების ანატოლიური დოკუმენტები“. გამოქვეყნდა ხუთი ტომი.

1957 წელს ჟ. დიუმეზილმა უბიხური ენის კვლევის საქმეში ჩართო თვალსაჩინო კავკასიოლოგი, ნორვეგიელი ჰანს ფოგტი, რომელმაც 1963 წელს ოსლოში გამოაქვეყნა „უბიხური ენის ლექსიკონი. ფონოლოგიური გამოკვლევითა და ტექსტებით“. უბიხური მასალა ხშირად ყოფილა ქართველი კავკასიოლოგების ქ. ლომთათიძისა და გ. როგავას მეცნიერული კვლევის საგანი. საბედნიეროდ, კავკასიოლოგების დაინტერესება უბიხურით გრძელდება (მ. კუმახოვი, მოსკოვი; გ. შარაშიძე, პარიზი).

წმინდა მეცნიერული მნიშვნელობის გარდა, ჟ. დიუმეზილის მოღვაწეობას ახლდა განსაკუთრებული ჰუმანისტური ასპექტი. დღიდან უბიხთა გაცნობისა და მათთან ნახევარსაუკუნოვანი ურთიერთობისა, იგი გამსჭვალული იყო დიდი სურვილით, შეეგროვებინა და გადაერჩინა ყველაფერი, რაც ჯერ კიდევ მოლად დაკარგული არ იყო. დრო აღარ ითმენდა. მან მოიარა უბიხთა განსახლების თითქმის ყველა ადგილი. იგი დიდი ხნით ჩადიოდა ხოლმე მათ სოფლებში ენის, ფოლკლორის, ადათების შესასწავლ-გამოსავლენად; კავკასიიდან გასახლების მონაწილეთა შთამომავლებისაგან იწერდა ყველაფერს ემიგრაციის შესახებ. ბევრ თავის ინფორმატორთან, როგორებიც იყვნენ ჰუსეინ ქოზანი, მუსა ქიაზიმი, ალი ბილაში, ილიას ჰოსქანი და მრავალი სხვა, იგი დაკავშირებული იყო მრავალწლიანი ურთიერთობით. შემდგომში იგი მადლობის გრძნობითა და ტკივილით იგონებდა მოხუცთა ამ „უბიხურ აკადემიასა“ და იმ დროს, როცა ისინი ერთობლივი სამუშაოთი გართულები, გარშემორტყმულნი იყვნენ მათი შვილებითა და შვილიშვილებით, რომელთაც უკვე აღარ ესმოდათ თავიანთი წინაპრების ენა.

დიუმეზილს ასეთი ოცნებაც კი ჰქონდა: რომელიმე მდი-

დარსა და გავლენიან ფონდს აეღო თავისთავზე უბიბი ბავშვებისათვის დედაენის სწავლება, რაშიაც თვითონაც მიიღებდა მონაწილეობას. მაგრამ ამ ოცნებებს ახდომა არ ეწერა.

ჟ. დიუმეზილი და მის კვალად ჰანს ფოგტი ნაცნობ უბიბებს შორის გამოყოფენ მშობლიური ენისა და ადათ-წესების შესანიშნავ მცოდნეს თეფიქ ესენჩს (1904-1992). ბუნებისაგან მომდლებული ნიჭითა და კეთილშობილებით გამორჩეულმა ესენჩმა თავიდანვე აუღო ალღო მეცნიერთა მოღვაწეობის მიზანსა და მნიშვნელობას. იგი საოცარი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა იმათ მუშაობას, ვინც ცდილობდა, გადაერჩინა მისი ხალხის წარსული და ენა. წლების მანძილზე მათთან თანამშრომლობდა, ყოფილა რამდენიჯერმე პარიზში დიუმეზილთან და ოსლოში – ფოგტთან. დიუმეზილის ზოგიერთ ნაშრომს ესენჩის გვარიც ამშვენებს, როგორც თანამშრომლისა და თანაავტორისა. მისგან ჩაწერილია ბევრი უბიბური ტექსტი, არსებობს მისი მეტყველების ჩანაწერიც. სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე ესენჩმა მოინახულა კავკასია, წინაპრების სამშობლო, რომლის სიყვარული მისთვის პაპა იბრაჰიმს ჩაენერგა...

* * *

უბიბური ფოლკლორი კავკასიური სულიერი კულტურის განუყოფელი ნაწილია. ტრაგიკულმა ბედმა უბიბ ხალხს მოუსპო შესაძლებლობა, განეგითარებინა და უფრო სრულად მოეტანა საუკუნეების მანძილზე შექმნილი ხალხური შემოქმედება. მათ მუსიკაზე, ცეკვებსა და სახვით ხელოვნებაზე ჩვენ ძალიან ზოგადი და მწირი წარმოდგენა გვაქვს, რაც ძირითადად ამა თუ იმ წყაროში გაბნეულ ცნობებზეა დამყარებული.

საბედნიეროდ, ი. მესაროშის, ჟ. დიუმეზილის, ჰ. ფოგტის...

პუბლიკაციები საშუალებას გვაძლევს, გავეცნოთ უბიძთა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. მართალია, ჩვენამდე არ მოუღწევია ზეპირსიტყვიერების მთელ მრავალფეროვნებას, მაგრამ, ვფიქრობთ, წარმოდგენილი მასალა უთუოდ მნიშვნელოვანია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უბიძები განსაკუთრებულ სიახლოვეს ავლენდნენ ჩერქეზების მიმართ. მათი ჩერქეზებში გათქვეფა-ასიმილაცია, როგორც ჩანს, უკვე კავკასიაში დაიწყო და თურქეთის მიწა-წყალზე გაძლიერდა. მათ ფოლკლორში, როგორც სარკეში, ასახულია ჩერქეზული (ადიღური) შოტიფები, სიუჟეტები, ძალიან ბევრია პირდაპირი სესხების ფაქტებიც. სესხება ხდებოდა თურქულენოვანი ფოლკლორიდანაც, უბიძებს ხომ უშუალო კონტაქტები ჰქონდათ და აქვთ თურქული მოდგმის ხალხებთან როგორც კავკასიაში, ისე ანატოლიაში.

მკითხველი გაეცნობა უბიძურ ხალხურ სიბრძნეს, იუმორს, ეთიკას, მსოფლმხედველობას, წარმოდგენილს გადმოცემებსა და ზღაპრებში.

უბიძთა ფოლკლორში აშკარად გამოიყოფა სხვადასხვა ქრონოლოგიური ფენა: უფრო არქაული, რომელშიც ასახულია საერთო კავკასიური ეპიკური თქმულებები ნართებსა და მათ მთავარ გმირ სასრიყვაზე, ჯადოსნური ზღაპრები ხალხის წიაღიდან გამოსულ მოხერხებულ გმირებზე, თქმულებები და ლეგენდები, ცხოვრებისეული ფილოსოფიის გამომხატველნი. ბუნებრივია, რომ ზეპირსიტყვიერებას განსაკუთრებული კვალი დააჩნია. წარსულ საუკუნეში დატრიალებულმა კავკასიის ომმა და მისით გამოწვეულმა დრამატულმა ვითარებამ. უბიძურ ფოლკლორში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და საყვარელი გმირია ჩერქეზი აიდემირ-ხანი, ცნობილი თავისი სიმამაცითა და კეთილშობილებით. მკითხველს ასევე უნდა მოეწონოს სოფლის ხუმარა, რომელსაც არც ჭკუა და არც სიკეთე აკლია...

ქვემოთ წარმოდგენილი ტექსტებიდან ჟ. დიუმეზილმა 1955-1959 წლებში ჩაიწერა შემდეგი: თეფფიქ ესენჩისაგან —

„მოხუცთა ამოწყვეტის დასასრული“, „ქალის ჭკუა“, „ბერიკა-
ცი და დევი“, „დიდუ დიდარიყუს თავგადასავალი“, ჰუსენ
ქოზანისაგან — „სასრიყვას სიკვდილი“, „მთავარი ქუშიკუ“,
„აიდემირ-ხანი“, ილიას ჰოსქანისაგან — „სამი რჩევა“, „გლეხის
შვილი“, ალი ბილაშისაგან — „კაცი, რომელმაც ირჩია, ახალ-
გაზრდობაში ყოფილიყო უბედური“, ხოლო „ყელწითელა“
1959 წელს თ. ესენჩისაგან ჩაიწერა ჰ. ფოგტმა.

უბიხური ფოლკლორის ნიმუშები ქართულად პირველად
ქვეყნდება, რუსულად რამდენიმე ზღაპარი პირველად დაიბე-
ჭდა ჟურნალ „კავკასიონის“ 1983 წ. №1-ში (გ. ორაგველიძ-
ის თარგმანი).

რუსულად ჯანაშია

ПРЕДИСЛОВИЕ К ПЕРВОМУ ИЗДАНИЮ

В 1974 году по инициативе известного публициста и общественного деятеля Отара Нодия была создана необычная для того времени организация «Редакционная коллегия по художественному переводу и литературным взаимосвязям», которую называли просто «Коллегией».

Основная деятельность «Коллегии» заключалась в переводе образцов мировой литературы на грузинский язык и грузинской – на языки мира.

С самого начала особое значение придавалось освоению литературного наследия народов Кавказа, установлению научных и человеческих контактов с кавказскими народами.

С 1977 года под непосредственным руководством О. Нодия Кавказский отдел «Коллегии» (заведующая отделом языковед Тамара Уджузу) начал работу над многотомником «Фольклор народов Северного Кавказа». Эта работа осуществлялась совместно с северокавказскими учеными.

К 1990 году к изданию уже был готов том «Адыгского фольклора», объем которого достигает 1000 с. В соответствии с концепцией многотомника тексты и предисловие представлены на трех языках: языке оригинала, грузинском и русском.

Но в 1990 году политические бури сотрясали Грузию и весь Кавказ. Эти бури не обошли и «Коллегию». Она, как очаг свободной мысли, была упразднена Союзом писателей Грузии при поддержке националистически настроенных группировок. Здоровье Отара Нодия было подорвано борьбой против несправедливости, за спасение его любимой организации.

Часть «Коллегии» под руководством Отара Нодия в 1992г. была преобразована в новую организацию и продолжала свою деятельность. Но в нестабильной, разоренной Грузии переводческая и издательская деятельность стали невозможными.

После кончины Отара Нодия (в 1992 году) наша организация, которая теперь уже называлась Центром культурных взаимосвязей Грузии – «Кавказский дом», несмотря на большие трудности, решила довести до конца начатое дело.

Мы расширили объем многотомника и превратили его в «Фольклор народов Кавказа», но вместо академической серии, издание которой превосходит наши материальные возможности, издаем анонсирующие бро-

шюры на грузинском и русском языках. Большой академический многотомник будет издан, когда будут найдены необходимые средства.

И вот сегодня, когда мы начинаем издавать «Фольклор народов Кавказа», – Кавказ охвачен кровавыми войнами, которые явились результатом развала кровавой империи.

«Убыхский фольклор» – первая книга этой серии – напоминает о той трагедии, которая произошла в прошлом столетии при порабощении Кавказа Россией.

Почти столетняя героическая борьба народов Северного Кавказа против поработителей кончилась физическим истреблением одной их части и депортацией – другой.

А для убыхов – этого древнейшего кавказского народа – это было началом их исчезновения... И вот, на глазах у всего мира, убыхский язык, на котором еще недавно пели, молились, оплакивали мертвых, клялись, объяснялись в любви, – переместился в мир мертвых языков. Многообразие мира обеднело... Это то же самое, что лишить солнце одного из лучей...

Убыхи – народ, который предпочел смерть потере свободы...

Но всегда будет существовать этот роковой вопрос: неужели существовал только этот путь? Может быть, был и другой? Имеет ли народ право на самоубийство?

И сейчас, перед нами, когда Кавказ охвачен пламенем, испепеляющим все живое, сейчас, когда не угасла еще до конца ни одна кавказская война и продолжается истребление Чечни – снова возникает этот же вопрос.

Может быть, народ должен найти другой путь, если его противник не хочет найти такого пути и внутренне не способен на это?

Может быть, народ сам должен найти выход, чтобы уберечь женщин и детей от руки, которая пока что способна только уничтожать?

Этот тяжелый вопрос и грусть сопровождают маленькую книгу, собранные в ней строки сказок и мифов, которые потомки создавшего их народа не смогут прочесть, их всегда будут читать только другие...

Пусть ни один том «Фольклора народов Кавказа» не приобретет ту трагическую значимость, что имеет эта книжка: она – безмолвный памятник навсегда исчезнувшему народу, которому мы больше ничем не можем помочь и воздать должное.

НАИРА ГЕЛАШВИЛИ

20.02.95

УБЫХИ И ИХ ФОЛЬКЛОР

Убыхи принадлежат к абхазско-адыгской (черкесской) этнической общности.¹ До 1864 года они жили на родине, на северо-западном Кавказе, в прибрежной полосе Черного моря, на юге-западных склонах Главного Кавказского хребта. С запада граничили с морем, с севера, по реке Шахе, – с черкесскими племенами, шапсугами и натухайцами, с северо-востока горные отроги отделяли их от бассейна р. Схагваша (Белая) и черкесского племени абадзехов; южными соседями за речкой Хамыш (Хоста) были садзы, абхазское племя.

Занимали убыхи небольшую (около 35 верст = 37 км, вдоль берега), но живописную территорию, с прекрасными климатическими условиями, богатую густыми лесами, в том числе уникальной реликтовой тисо-самшитовой рощей, плодородными долинами, сероводородными источниками (Мацеста, Агура), быстрыми горными реками: Бу, Шахе, Вардане, Соча, Хамыш, превращающимися во время сильных дождей в бешеные горные потоки.

Земля убыхов делилась на горную и прибрежную части; прибрежная состояла из двух основных участков; северного, Вардане (долина р. Вардане) и южного, Саше (Соча).

Не организовав единого государственного целого, делясь на племена, убыхи жили патриархально-феодальным укладом. Большое влияние имели дворянские кланы. Среди них, например, в XIX в. выделялись Барзегги. Особой популярностью в первой половине прошлого века пользовался Хаджи Дагумоква Барзег (в русской исторической литературе известный как Догомуков), прозванный «Черкесским Вашингтоном» английским путешественником Дж.С.Беллем, прожившим в Черкесии три года в конце 30-х годов. Воспитанный в лучших кавказских традициях, Барзег прославился как вдохновитель и организатор военных действий. Русским правительством была назначена очень высокая цена за его голову.

Живя в окружении близкородственных народов и будучи немногочисленными (их было не более 40000), убыхи своим мировоззрени-

ем, психологическим и жизненным укладом были особенно близки к черкесам (шапсугам, абадзехам), большинство из них знало черкесский язык, а среди знати это было явлением обычным. По некоторым данным, собственно убыхский сохранился главным образом в горной части (Верхняя Убыхия). И своим названием убыхи обязаны черкесам, это восходящее к убыхской основе черкесское слово закрепилось за ними и распространилось. Самоназвание туахы (убыхский язык – туахыбза) в источниках не зафиксировано.

Об убыхах до XIX в. в письменных источниках почти нет никаких сведений, за исключением записей некоторых путешественников, в которых приводятся отдельные слова и фразы (Ев. Челеби, П. Паллас, И. Гюльденштедт и др.), но обычно среди черкесских или абазинских, поскольку большинство авторов рассматривало их как черкесское племя. Некоторые ученые этноним «убыхи» связывают с термином Брухон древних авторов (Прокопий Кессарийский, VI в.), но гипотеза не доказана и не совсем убедительна.

В мирное время основным занятием населения было земледелие и перегонное скотоводство, Долина Вардане славилась фруктовыми садами. Некоторые племена занимались еще и торговлей. Торговали, в основном, с Турцией. Убыхские старшины имели даже собственные суда, совершавшие регулярные рейсы. Торговые связи, естественно, расширяли кругозор убухов и давали им возможность глубже заглянуть в политическую жизнь, создавшуюся в начале XIX в. Тем временем экспансия царской России неотвратимо приближала завоевательную войну на Кавказе, целью которой, по словам Николая I, было «...усмирение навсегда горских народов или истребление непокорных». Развязанная вскоре война стала жесточайшей и длилась свыше четырех десятилетий.

Убыхи оказались самыми непокорными в героической борьбе с завоевателями. Объединяясь с родственными племенами, и в первую очередь – с абадзехами, они обычно составляли образцовый отряд, всегда готовый к нападению и отпору. В военных действиях они бились впереди всех, а отступали последними. Своей храбростью и умением бороться до конца они производили на неприятеля впечатление многочисленного и сильного народа. Самым воинственным было племя Саше, жившее между реками Саше (Соча) и Хамыш (Хоста). Соприкасаясь со всеми борющимися племенами и территориально находясь в центре,

убыхи прилагали все усилия, чтобы объединить их на государственном уровне и оказать врагу коллективное сопротивление, предприятие, противоречащее феодальной структуре. Особенно много говорили о них в последние годы Кавказской войны. В течение более 30 лет они несли огромные потери, но, несмотря на это, продолжали ожесточенную борьбу, посылая подкрепления как абхазам, так и шапсугам и абадзехам, атакуя крепости противника, наказывая предательство и слабость.

А тем временем царским правительством возводились крепости и фортификационные укрепления по государственному плану "Построения сухопутной береговой линии" от Анапы до Гагр, и ниже, вплоть до Поти. Это тормозило внешние сношения горцев и лишало их возможности пользоваться зимой теплыми прибрежными пастбищами. Все это ослабляло горцев в их неравной борьбе. Ни трехлетняя передышка в военных действиях из-за Крымской войны, ни желание кавказских народов биться до конца за свою независимость не могли изменить хода событий. Всякое сопротивление разбивалось о царскую военную мощь. Развязка приближалась. «Непременным условием окончания войны, – по мнению наместника, Великого князя, – было совершенное очищение Восточного Черноморского побережья и переселение горцев в Турцию».

После полного разгрома шапсугов и абадзехов настал черед убыхов. В марте 1864 г, русские войска под предводительством генерала В.А. Геймана перешли реку Псезуапсе. После стремительной атаки земля убыхов была покорена, 25 марта был взят центр их земли – Саше (Соча). Народу было объявлено следующее:

Желающим воспользоваться приглашением турецкого султана эмигрировать в Оттоманскую империю, незамедлительно собраться лагерем на берегу моря, в устьях трех рек: Шахе, Вардане, Соча; желающим же сговориться с русскими и остаться, предложено было идти на Кубань. Таких оказалось около 60 семейств, им должны были выделить земельные участки, но в дальнейшем их переселили и оттуда, дальше, в Костромскую губернию.

Переселение в Турцию было таким же жестоким испытанием, как и сама война. Страшные беспорядки на берегу, неопытность и неорганизованность в таких массовых переездах, эпидемии, порча переполненных судов, голод, лишения грозили народу истреблением. Многие переселенцы не достигали конечной цели. 21 мая 1864 года, после отъезда последних махаджиров царскому двору в Санкт-Петербурге

было официально доложено об окончании одной из самых тяжелых войн. В тот же день представители объединенных царских войск отслужили торжественный молебен в честь окончания войны. 1864 год вошел в историческую литературу как год полного покорения Кавказа и установления там русского владычества.

С 1864 года убыхи исчезли с карты Кавказа, покинув землю своих предков, населявших ее тысячелетиями. Покидая страну, люди сжигали деревни, убивали скот, со всех сторон доносились плач и крики... К началу июня страна убыхов представляла собой безлюдную пустыню. Сохранился рассказ участника драматического переезда: «Мы решили ехать в Стамбул. Собрав деревню, мы спустились к берегу моря. Из Стамбула прибыло два судна с парусами. В одно из них мы погрузили нашу провизию. Но потом при посадке мы его не нашли и были вынуждены подняться на другое судно. Переезд был очень тяжелым. Когда мы приблизились к Самсуну, нам не разрешили спуститься, и мы были вынуждены отправиться в Стамбул. По дороге наш корабль испортился. У нас не было питьевой воды, и мы пили морскую воду. Многие умерли. Наконец прибыл из Стамбула пароход и потащил нас на буксире к городу».

По прибытии в Турцию убыхи старались селиться опять рядом с черкесами и абхазами. Черкесы, как более многочисленные, были расселены по всей империи – Анатолии, Сирии, Иордании... Убыхов же поселили только в Анатолии. Правда, в последнее время появилось сообщение об их присутствии якобы на Ближнем Востоке, но эти сведения требуют подтверждения.

Две самые большие убыхские группы были расселены в западной части страны: в районе Маниаса, Балыкезирского вилайета (деревни: Хаджи Осман Къей, Хаджи Якуп Къей...) и около озера Сапанджа, в Измитском вилайете (деревни: Кырк Пынар, Янык, Курт Къей...). Небольшими островками обосновались они и в других частях страны: около Самсуна, Адапазар, Дюздже; на юго-востоке, в районе Мараша...

На новом месте деревням обычно давали названия по именам их основателей. Так, например, Хаджи Якуп Къей основан Якупом, Хаджи Осман Къей – Османом. Со временем все это стирается в памяти последующих поколений.

Переселение в новую страну, естественно, поставило народ в но-

вые условия. Малочисленность и разрозненность народа сделали бесперспективным убыхский язык. Если еще в 30-х годах нашего столетия незначительная часть старшего поколения все еще сохраняла родной язык, то сегодняшние убыхи полностью ассимилировались, с одной стороны, с черкесами, а с другой – с турками. Естественно, раньше потеряли язык те, кто покинул деревню и уехал в город для получения образования или же в поисках работы. Среди убыхов есть врачи, фармацевты, инженеры, сотрудники городских управ... Немалым испытанием для убыхов была Балканская война. Многие из них служили в армии и не вернулись с войны.

* * *

Лингвистически убыхский принадлежит к абхазско-адыгской группе иберийско-кавказских языков, не имел письменности. Он занимает как бы промежуточное положение между абхазско-абазинским и адыгскими языками. Система гласных простая, система согласных очень сложная. Имя существительное имеет грамматические категории падежа, числа, определенности, притяжательности. Глагол – полиперсонален, со множеством формо- и словообразовательных категорий. В лексике много заимствований из черкесского и турецкого языков.

Первый неоконченный грамматический очерк убыхского языка принадлежит выдающемуся русскому кавказоведу барону П.К. Услару (1887 г.). Эти заметки сделаны незадолго до большой эмиграции вблизи Майкопа со слов 14-летнего знатного юноши Барзегга. Занятия проходили вблизи военных действий и вскоре были прерваны. Долгое время этот небольшой труд был единственным пособием по этому языку.

Несколько статей, касающихся убыхов и их языка, были напечатаны в известной серии «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа» (1881-1915, СМОМПК), выходившей в Тифлисе.

Впервые на новой родине убыхов посетил датчанин А. Бенедиктсен в 1898г., сделавший записи, но, к сожалению, их не опубликовавший.

Интерес к убыхскому языку возник в XX в. Следует отметить работы Адольфа Дирра (1927-1928) и Юлиуса фон Месароша (1934). К обоим исследованиям приложены тексты со словарем. Материал был собран на месте, А. Дирром в районе Сапанджа, а Месарошем – в районе Маниаса.

Совершенно особую роль в убыховедении сыграл французский ученый академик Жорж Дюмезиль (1898-1987гг.). Ж. Дюмезиль, известный исследователь сравнительной мифологии и эпоса, индоевропейской цивилизации и религии, кавказскими языками, и в первую очередь убыхским, заинтересовался в 20-х годах, будучи профессором Стамбульского университета. Ему представился прекрасный случай для непосредственного наблюдения и изучения этих языков, представленных в Анатолии, на так называемом «Малом Кавказе».

Начиная с 1931 года он опубликовал несколько монографий, посвященных грамматической структуре убыхского и других кавказских языков. В 1955-1971 гг. он провел ряд научных экспедиций и собрал ценнейший текстовый материал убыхского, черкесского, абхазского, лазского языков. В 1960 г. он основал новую серию „Анатолийские документы по кавказским традициям и языкам». В свет вышли пять томов,

В 1957 г. Ж. Дюмезиль к изучению убыхского языка привлек крупного кавказоведа норвежца Ганса Фогта, создавшего «Словарь убыхского языка с фонологическим исследованием и текстами» (1963). Убыхский материал стал предметом научного анализа видных грузинских кавказоведов К.В. Ломтатидзе и Г.В. Рогава. Отрадно отметить, что язык убыхов продолжает интересовать известных кавказоведов, как например, М. Кумахова (Москва) и Г. Шарашидзе (Париж).

Но кроме научной ценности, деятельность Ж. Дюмезиля носила особый гуманистический характер. С первых же дней своего знакомства с представителями убыхов и в течение полувекового контакта с ними он был проникнут желанием, не теряя времени, собрать и спасти все, что еще можно было спасти. Объездив почти все места их проживания, подолгу живя в деревнях, он фиксировал язык, фольклор, обычаи, рассказы очевидцев трагического переезда с Кавказа, переданные через их потомков. Со многими своими информаторами, как Гусейн Козан, Муса Кязым, Али Билаш, Ильяс Хоскан и многими другими, работал днями и месяцами, впоследствии с благодарностью и болью

вспоминая эту «убыхскую академию» стариков, окруженных детьми и внуками, уже не понимающими родного языка. Он даже мечтал о том, чтобы какой-нибудь богатый и влиятельный фонд создал бы на месте условия для воспитания убыхских детей на их угасающем языке, предлагая свои услуги. Но... этим мечтам не суждено было сбыться.

Среди знатоков убыхского языка Ж. Дюмезиль и вслед за ним Г. Фогт выделяют Тевфика Эсенча (1904-1992). Благодаря удивительным природным способностям, тонко чувствующий нюансы родной речи, прекрасно владея и черкесским языком, Эсенч с самого начала понял цель работы и с большой ответственностью взялся помогать тем, кто старался спасти от забвения язык и прошлое его народа. На протяжении ряда лет он сотрудничал с учеными, ездил несколько раз к Дюмезилю в Париж, и даже в Осло, к Фогту. На некоторых работах Дюмезиля стоит и имя Т.Эсенча как сотрудника и соавтора. Со слов Эсенча записано много текстов, имеется магнитофонная запись его речи. Привитая дедом Ибрагимом любовь к родине своих предков незадолго до смерти привела Тевфика Эсенча на Кавказ...

* * *

Убыхский фольклор – неразрывная часть кавказского духовного мира. Трагическая судьба лишила народ возможности развить в дальнейшем и полнее донести до нас то народное творчество, которое создавалось веками. Об убыхской музыке, танцах, изобразительном искусстве мы можем судить лишь поверхностно и в общих чертах, опираясь на скудные сведения немногочисленных источников.

Благодаря ценнейшим публикациям Ю. Месароша, Ж. Дюмезиля, Г. Фогта и др. мы имеем возможность познакомиться с образцами устного народного творчества убыхов. К сожалению, не все его многообразие сохранилось и дошло до нас. Поэтому-то в убыхском фольклоре отсутствуют некоторые жанры, и все-таки представленный материал имеет определенную художественную ценность. Как мы уже отмечали, убыхи были особенно близки к черкесам. Как видно, процесс их ассимиляции с черкесскими племенами начался уже на Кавказе и стал интенсивнее в Турции. В их фольклоре, как в зеркале, отражаются черкесские (адыгские) мотивы, сюжеты, много и прямых за-

имствований. Заимствования имеются и из тюркоязычного фольклора вследствие близких контактов как на Кавказе, так и на новой родине.

Читатель познакомится с народной мудростью, мировоззрением, этникой, юмором, представленными в сказаниях и сказках.

В убыхском устном народном творчестве четко выделяются разные хронологические уровни: более архаичные, отображающие общекавказские эпические сказания о нартах и их главном герое Сосруко, волшебные сказки с героями-простаками, умеющими находить выход из любых ситуаций, сказания и легенды о философском осмыслении жизни. Естественно, много места отводится трагическим событиям Кавказской войны и вообще той драматической эпохе. Одним из наиболее любимых народных героев является черкес Айдемир-Хан, прославившийся своей храбростью и благородством. Читателю должен понравиться и веселый сельский балагур Дыдарыку, не лишенный ума и доброты.

Из представленных ниже текстов, Ж. Дюмезилем записаны «Конец истребления стариков», «Женский ум», «Старик и великан», «Похождения Дыгу Дыдарыку» со слов Т. Эсенча; «Смерть Сосруко», «Бей Кушыку», «Айдемир-хан» – со слов Гусейна Козана, «Три совета» и «Сын пахаря» – со слов Ильяса Хоскана, «Человек, решивший стать несчастным в молодости» – со слов Али Билаша в 1955-59 годах, «Красное горлышко» записано Г. Фогтом со слов Т. Эсенча в 1959 г.

Образцы убыхского фольклора на грузинском языке печатаются впервые, а на русском языке некоторые сказки впервые были напечатаны в журнале «Кавкасион» за 1984 год, №1, в переводе Г. Орагвелидзе.

РУСУДАН ДЖАНАШИЯ

უბისური ფოლკლორი



სასრიყვას სიკვდილი

ნართების დროში იყო ერთი პატარა ტანის კაცი, სასრიყვა ერქვა. ძალიან ჭკვიანი და მარჯვე იყო. როცა უნდოდა, მაშინ იცვლიდა სახეს: ხან მხეცად გადაიქცეოდა, ხან – გზაზე დაგდებულ ქალამნად, ხან – ხურჯინად. თუ ცუდ გუნებაზე დადგებოდა, ნისლში გაეხვეოდა, ნართებს დაერეოდა და შიშის ზარს სცემდა, მუსრს ავლებდა. რადგან ნისლში იყო გახვეული, ნართები ვერ ხედავდნენ და, რაღა თქმა უნდა, ხელსაც ვერ უბრუნებდნენ.

ნართების დედა, ცაუნაფი, ბრძენი ქალი იყო. ერთ დღეს ნართებმა დედას უთხრეს:

– სასრიყვა თუ არ მოვკალით, ცოცხალს არ გაგვიშვებს. გვირჩიე, როგორ მოვკლათ, რომ მშვიდად ვიცხოვროთო.

– თუ იმ კაცის მოკვლა აუცილებელია, აიღეთ რკინის ბორბალი, მის სახლთან მალლობზე აიტანეთ და იქიდან დააგორეთ, თან სასრიყვას დაუძახეთ: “ჩვენ ახლა ამ ბორბალს დაეაგორებთ, თუ ვაჟკაცი ხარ, მუშტი ჰკარი და უკან ამოაგორე-თქო“, – დაარიგა დედამ.

მართლაც, დააგორეს ნართებმა რკინის ბორბალი. სასრიყვამ კი იგი მუშტის დაკვრით უკან დააბრუნა.

ნართები ისევ მივიდნენ დედასთან:

– ბორბალი უკან ამოგვიგდო, ახლა რაღა ვქნათო? – ჰკითხეს. დედამ უთხრა:

– ხელახლა დააგორეთ ბორბალი და უთხარით, იდაყვის დაკვრით ამოაგდოს უკანო.

ნართები ისე მოიქცნენ, როგორც დედამ დაარიგა. აიტანეს ბორბალი მალლობზე, დააგორეს, თან სასრიყვას დაუძახეს: “თუ ვაჟკაცი ხარ, იდაყვი ჰკარი და უკან ამოაგორეო!”

სასრიყვამაც ჰკრა ბორბალს იდაყვი და უკან დაუბრუნა ნართებს.

ნართები ისევ მივიდნენ დედასთან:

– საუბედუროდ, ჩვენ სასრიყვას მომკვლელები არა ვართ. რასაც ვეუბნებით, ყველაფერს აკეთებს. თუ არ დავლუპეთ, ცოცხა-

ლი ვერავინ გადაუურჩებო.

— ყური მიგდეთ: სასრიყვას ბარძაყის ძვალი არა აქვს, მხოლოდ ხორცი კი რკინის ბორბლის დარტყმას ვერ გაუძლებს. ბორბალი ბარძაყს მოჰკვეთს, სასრიყვა მოკვდება და თქვენც გადარჩებით, — უთხრა დედამ.

ნართებმა დაუძახეს სასრიყვას:

— ბარძაყი ჰკარი და ისე ამოაგდო!

დააგორეს ბორბალი. ჰკრა სასრიყვამ ბარძაყი და ბორბალმა ბარძაყი მოჰკვეთა.

მაშინ სარიყვამ დაიძახა:

— რაც კი ტყეში ცხოველია, ყველა აქ მოგროვდეს ჩემი ხორცის საჭმელად!

პირველი მგელი მოვიდა. მაგრამ შეებრალა სასრიყვა და ხორცისთვის პირი არ დაუკარებია, ჭრილობას ულოკავდა. როცა მგელმა წასვლა დააპირა, სასრიყვამ უთხრა:

— დაე, ამიერიდან შენი გული ჩემსას ჰგავდეს, სადაც არ უნდა იყო, ისე ეშინოდეთ შენი, როგორც ჩემი ეშინოდათ, მაგრამ თუ უკან დაიხევ, გული ძაღლის გულად გექცესო!

მგელი ტყეში დაბრუნდა.

შემდეგ კურდღელი მოვიდა. იმასაც გული სიბრალულით აევსო, არც მან დააკარა პირი სასრიყვას ხორცს.

— როგორც მე გავექეცი იმ კაცებს, მოტყუებით რომ გადამიჭრეს გზა, დაე, შენც ისე გადაურჩე შენს მღვერებსო, — დალოცა სასრიყვამ.

კურდღელიც ტყეში დაბრუნდა.

რიგრიგობით მოდიოდნენ მხეცები, მაგრამ ებრალებოდათ სასრიყვა და მის ხორცს პირს არ აკარებდნენ.

ბოლოს შაეი ორბი მოფრინდა, დაითრია სასრიყვას ბარკალი და მიძვნა დაუწყო. სასრიყვა გაბრაზდა და ორბი დაწყევლა:

— კვერცხი მაღალ მთებში დაგედოს, იქ, სადაც ადამიანს ვერ მიესვლება. კვერცხს პირიდან დებდე და თუ გამოჩეკას დააპირებ, მუცელი ზემოდან მოგექცესო. ორი ბარტყი გამოიჩეკოს და თითომ თითო თვალი ამოგკორტნოსო.

ორბი ცაში აფრინდა.

ასე დაიღუპა სასრიყვა.

ბერიკაცი და ღვევი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი, მოხუცი ცოლ-ქმარი. ერთხელ ცოლმა უთხრა ქმარს:

— კაცო, ხომ ხედავ, როგორი ღარიბები ვართ. ღვევებთან წადი და შინ ცოტა ოქრო მოიტანეო.

— რამდენიმე წველა ყველი გამიმზადეო.

ქალმა ამოიყვანა ყველი. ჩაიღო ბერიკაცმა ყველი გულში და გასწია ღვევების ქვეყნისაკენ. დიდ მდინარეს მიაღვა. დაინახა, გაღმა ნაპირზე ღვევი ჩამომჯდარიყო.

— გამოდი და ამ წყალზე გადამიყვანეო! — გასძახა ბერიკაცმა ღვეს.

ღვევი გაბრაზდა:

— ეინა ხარ, რაებს მიბედავო?!

ბერიკაცმა გულიდან ერთი წველი ყველა ამოიღო და ღვეს დაანახვა:

— ხედავ, ამ ქვას? ამასავით გამოგადენ წვენსაო — და ყველს ხელი მოუჭირა, წვენი გამოადინა და მოისროლა.

ღვემაც აიღო ქვა, მოუჭირა ხელი, მაგრამ ვერ იქნა და, წვენი ვერ გამოადინა. შეეშინდა ღვეს, გადმოვიდა მდინარეზე, ბერიკაცი ზურგზე შეისვა, ღვევების ქვეყანაში წაიყვანა და თავის ღედის ძმებს მიჰგვარა.

— ეს კაცი ქვებს წვენს ადენს. კარგად მოექცეცით, თორემ რამეს დაგვიშავებსო.

— გადი, დაიკარგე! ასეთი კაცი რაში გვჭირდებაო, — უთხრეს ღედის ძმებმა.

ღვემა ბერიკაცი ისევ ზურგზე შეისვა და ახლა თავის მამის ძმებს მიჰგვარა.

— ეს კაცი ქვებს წვენს ადენს. არაფერი აწყენინოთ, თორემ ხიჯათს გადაგვყრისო.

— ასეთი კაცი რაში გვჭირდება, საიდანაც მოგიყვანია, ისევ იქ წაიყვანეო, — უთხრეს მამის ძმებმა.

შეისვა ღვემა ბერიკაცი ზურგზე და თავის შვიდ ძმასთან მიიყვანა. უთხრა:

— ეს კაცი ქვებს წვენს ადენს, კარგად მოექცით, არაფერი აწყენინოთ, თორემ ხიფათს გადაგყვრისო.

— ძალიან კარგო, — უპასუხეს ძმებმა, — შეიდი ქვაბი წყალი ავადულოთ და რომ დაიძინებს, დავმდულროთო.

ბერიკაცმა ყველაფერი გაიგონა. ღამით დასაძინებლად რომ დაწვა, დევებმა წყალი ასადულებლად ცეცხლზე შემოდგეს. ბერიკაცი ადგა, ოთახიდან ჩუმად გავიდა და დაიძალა. დევებმა მდულარე წყალი მის ოთახში შეასხეს.

გათენდა. ბერიკაცი ოთახში ისე შებრუნდა, რომ დევებს არ დაუნახავთ. შევიდნენ დევები ოთახში, ხელავენ, ბერიკაცი ზის თავისთვის.

— წუხელ ხომ არაფერს შეუწუხებიხარო? — ჰკითხეს.

— არაფერს, ოღონდ კისერი მექავებაო.

დევები შეშინდნენ.

— რაკი ასეა, ხვალ ტყეში წავიღეთ შეშის მოსატანადო, — უთხრეს ბერიკაცს.

— კარგი, წავიღეთ, ოღონდ, თოკი წამოიღეთო.

მართლაც, წავიდნენ ტყეში. დევებმა ძირფესვიანად მოგლიჯეს თითო ხე და უკან დაბრუნება დააპირეს.

— მოიცათ, ერთი ხის კენწერო მომიწითო, — უთხრა ბერიკაცმა დევებს. მოუწიეს დევებმა ხის კენწერო. ბერიკაცმა ჩაავლო ხელი და დევებს უთხრა:

— გაუშეთო.

გაუშვეს დევებმა ხელი, ტოტს ჩაჭიდებული ბერიკაცი ხეს კენწეროში მოექცა და ჩიტიც დაიჭირა. დევები უარესად შეშინდნენ. ბერიკაცი ხიდან ჩამოვიდა და დევებს უთხრა:

— თითო ხის ამარა უკან როგორ დავბრუნდეთ. აიღეთ თოკი და ერთი ორმოციოდე ხე ერთად შეკარით, ბარემ ერთად მოვგლეჯ და წამოვიღებო.

— ამდენი ხე რომ წამოიღოს, ჩვენს ეზოში სად უნდა დააწყოს, სახლს დაგვინგრევს. რასაც მოგვთხოვს, მივცეთ და დაბრუნდეს თავის ქვეყანაშიო, — თქვეს დევებმა.

— ჩვენო სტუმარო, გვითხარი, რა გსურსო? — ჰკითხეს ბერიკაცს.

– თუ გუდას ოქროთი გამივსებთ, შინ დავბრუნდებიო.

გაუვსეს ღვევებმა გუდა ოქროთი და შინ გაისტუმრეს. იმ ღვე-
მა ისევ შეისვა ბერიკაცი ზურგზე და გზას გაუდგნენ.

ღვევზე შემომჯდარი ბერიკაცი შინ დაბრუნდა. ღვეს მისი სახ-
ლი ძალიან პატარა ერქვნა. შინ შესულმა ბერიკაცმა ცოლს უთხრა:

– მოგეშვიდა, ღომი მოგვიხარშეო!

ღელაბერმა მოხარშა ერთი კარდალა ღომი, ამოაგო მაგიდაზე
და წინ დაუდგა.

– მისატანებელი არაფერი გვაქვსო, – უთხრა.

მოხუცმა უპასუხა:

– კერაზე დაკიდულ ღვევებში ყველაზე მსუქანი ამოარჩიე და
შეგვიწვიო.

ამის გაგონებაზე ღვევი უკანმოუხედავად გაიპარა, “მეც არ
დამკლან და არ შემჭამონ“.

მიღის ღვევი. შემოეყარა მელა.

– საიდან მოდიხარო? – ჰკითხა ღვეს.

– იმ ბერიკაცის სახლიდან მოვდივარ, აქვე რომ ცხოვრობს
და სახლი დაზოცილი ღვევებით აქვს სავსე. მეც დამიპირეს შეჭმარო.

– იმან როგორ შეგაშინა? ყოველღამ თითო ქათამს ვპარავ და
ვერა და ვერ დამიჭირაო.

გაბრაზებული ღვევი შებრუნდა და გაქანდა ბერიკაცისაკენ.
მელაც უკან მიჰყვა.

ბერიკაცმა შორიდანვე დაინახა მელა და დაუძახა:

– ეგ ღვევი თუ გამხდარია, არ მინდა, მაგრამ თუ მსუქანია,
მოიყვანეო!

ამის გამგონე ღვევმა იფიქრა, ეტყობა, ამათ პირი აქვთ შეკრუ-
ლი, მატყუებენ და შეჭმას მიპირებენო. დაავლო მელას ხელი,
შუაზე გახლიჩა და მოისროლა. შემდეგ შეტრიალდა და თავისი
ქვეყნისაკენ მოკურცხლა.

ბერიკაცსა და ღელაბერს კი სიკვდილამდე ეყოთ ღვევებისაგან
წამოღებული ოქრო.

დიდი ხნის წინათ ერთი ბეგის ცოლს ბავშვი ეყოლა. ერთი თვეც არ გასულიყო, რომ ქალმა ზღვაზე სარეცხი წაიღო გასარეცხად. ვიდრე დედა სხვა ქალებთან ერთად სარეცხს რეცხავდა, ბავშვს იქვე ეძინა. ამ დროს მოფრინდა დიდი, შავი ორბი, აიტაცა მძინარე ბავშვი და ზღვისკენ წაიღო. მშობლები მიხედნენ, რომ შეიღს ვეღარ იპოვნიდნენ და ხელი აიღეს მის ძებნაზე.

ფრინველმა ბავშვი ზღვის გაღმა ერთ ქვეყანაში გაიყვანა, ძირს დაეშვა და თავისი ნადავლის შეჭმა დააპირა. ამ დროს ერთი ბეგი თავისი რაზმით ლაშქრობიდან ბრუნდებოდა. დაინახა, ორბს კლანჭებით რაღაც მოჭქონდა და თავის რაზმს უბრძანა:

– ახლავე ნახეთ, რა მოიტანა ფრინველმაო.

ათიოდე მხედარმა მაშინვე იმ აგილს მიაშურა, სადაც ორბი დაეშვა. რომ მიუახლოვდნენ, ფრინველი დაფრთხა და თავს უშველა. ბავშვი მიწაზე დარჩა. მხედრებმა დაინახეს, რომ ბავშვი ცოცხალი იყო, აიყვანეს და ბეგს მიჰგვარეს.

– წავიყვანოთ და გავზარდოთ, – თქვა ბეგმა.

ორბს ბავშვისათვის მუცელზე ჭრილობა მიეყენებინა. უწამლეს და მოარჩინეს. ბავშვს აიდეშირი დაარქვეს. იგი ბეგმა გაზარდა. კარგი ვაჟკაცი დადგა, ბეგს ყველგან თან დაჰყვებოდა. ომში რომ წავიდოდნენ, ყველაზე უკეთ აიდეშირი იბრძოდა.

ერთხელ ბეგმა კაზაკთა ქვეყანაში სალაშქროდ ხალხი შეკრიბა. ლაშქრობის წინ სამი ბრძენი იხმო, ცალ-ცალკე ოთახებში შეაყვანინა, რათა ცალ-ცალკე დალაპარაკებოდა მათ.

– საომრად მივდივართ. მებრძოლებში ისეთი კაცი დამისახელებე, ლაშქარს რომ დროშით ხელში გაუძღვესო, – უთხრა ბეგმა პირველ ბრძენს.

– ამას მხოლოდ აიდეშირი შეძლებს, ლაშქარში მასზე მამაცი არავინ არის. სწორედ მან უნდა დაიჭიროს დროშაო.

იხმო ბეგმა მეორე ბრძენი.

– თუ კაზაკთა სამყოფელს მივალწევთ და მათ ციხესიმაგრეს დავიპყრობთ, ამოირჩიე ის მოლაშქრე, ვინც ციხესიმაგრეში პირველი შეიჭრება და იქ დროშას აღმართავსო.

— ლაშქარში აიღებირზე მამაცი არავინ არის. ციხესიმაგრეზე დროშის აღმართვას ის შეძლებსო.

ბეგმა ახლა მესამე ბრძენს ჰკითხა:

— როცა მეციხოვნეებს დავამარცხებთ, ციხეს ავიღებთ, მოვკლავთ კაზაკთა მეთაურს, ციხის მთელ ქონებას წამოვიღებთ, არაფერს ფასეულს არ დავტოვებთ და ციხესიმაგრეს გადავწვავთ, მღევარი თუ დაგვედენა, ჩვენს ლაშქარში ვინ იქნება ის კაცი, მღევარს რომ შეაჩერებს და დაამარცხებსო?

— რასაც შენ ამბობ, მაგის გამკეთებელი მარტო აიღებირიანო,
— უპასუხა ბრძენმა.

მაშინ ბეგმა ბრძანა:

— რაკი ასეთი მამაცი ყოფილა, დღეიდან აიღებირ ხანი დაუძახეთო.

წავიდა ლაშქარი. აიღებირის წინამძღოლობით კაზაკთა ქვეყანაში შევიდნენ. ციხესიმაგრეზე საიერიშოდ რომ მოემზადნენ, აიღებირს უთხრეს:

— აიღებირ, აიღე დროშა, შედი ციხეში და იქ აღმართეო!

მიიტანეს ციხეზე იერიში და აიღეს. აიღებირმა დროშა აღმართა. მოკლეს ყაზახთა მეთაური, წამოიღეს, რაც ციხესიმაგრეში იყო. აიღებირს უთხრეს:

— ჯარს უკან გამოჰყევი, თუ მღევარი წამოგვეწიოს, დახოცე, არ დაინდოო.

გაჰყვა აიღებირი ჯარს უკან. წამოწეული მღევრები დახოცა, ერთიც არ გაუშვია ცოცხალი. ასე დატოვეს კაზაკთა ქვეყანა და სამშობლოში დაბრუნდნენ.

ამის შემდეგ ბეგს აიღებირ ხანის შური ჩაუვარდა გულში. ერთხელ აიღებირი ზღვის ნაპირას სეირნობდა. უცებ დაინახა, რომ ლელქაშიდან ცხენების რემა გამოვიდა და ზღვაში შეცურა. აიღებირმა დაათვალიერა ის ადგილი, საიდანაც ცხენები გამოვიდნენ და სამი ახლად დაბადებული კვიცი იპოვა. აიყვანა ის კვიცი და შინ მიიყვანა. გამოზარდა. ორი კვიცი ბეგმა წაიყვანა. ერთი, ყველაზე სუსტი, აიღებირს დაუტოვა. გაზარდა აიღებირ ხანმა ის კვიცი. ზედ რომ შეჯდებოდა, მის ნახვას არაფერი სჯობდა. ხალხი ცხენ-მხედრის ყურებით ვერ ძღებოდა. ბეგს უფრო მოეძალა შური,

აიღემირი შინიდან გააგდო და იმაზელა ფიქრობდა, როგორ მოეკლა.

ბეგს ერთი სიძე ჰყავდა. აიღემირი საცხოვრებლად მასთან გადავიდა. ისევე მიდიოდა ხოლმე ზღვის ნაპირას. ყოველთვის, როცა თავისი ცხენით ზღვის ნაპირს ჩაუვლიდა, ცხენი ზღვაში იწევდა. ერთხელაც იფიქრა, ვნახოთ, სად წავაო და ცხენი ზღვაში შეუშვა. ცხენმა ზღვა გადალახა და ერთ ქვეყანას მიაღწა. ხმელეთზე რომ გავიდნენ, აიღემირმა თქვა, ვნახოთ, სად წავაო და ცხენს სადავე მიუშვა.

ცხენმა ერთი სოფლისკენ აიღო გეზი. ამ დროს ერთი მოხუცი ქალი თავს იბანდა, იქვე მისი ქალიშვილი იდგა. იმან ზღვიდან გამომავალი მხედარი რომ დაინახა, დედას უთხრა:

– ზღვიდან ვილაც მხედარი გამოვიდა და აქეთ მოდისო.

– შვილო, ეს მხედარი შენს ძმებსა ჰგავს, მისი ცხენი კი მამაშენის ერთ-ერთი ცხენიაო, – უთხრა დედამ.

ვიდრე ისინი ლაპარაკობდნენ, მხედარი პირდაპირ მათ ეზოს მიაღწა და ქალებს უთხრა:

– თქვენი სტუმარი ვარო.

ქალებმა ცხენი საჯინბოში შეიყვანეს, სტუმარი კი შინ შეიპატიჟეს. გავიდა რამდენიმე დღე. “ნეტავ, ის ბავშვი ხომ არ არის, ფრინველმა რომ მოგვტაცა, ძალიან ჰგავს ჩვენს შვილსო“, – ფიქრობდნენ მასპინძლები. ერთხელაც სტუმარს თეთრეული და ტანსაცმელი მისცეს, გამოიცვალეო. გაიხადა სტუმარმა და ვიდრე იცვლიდა, მაპინძლები კარის ჭუჭრუტანიდან უთვალთვალებდნენ. დაინახეს, მუცელზე ჭრილობა ჰქონდა, ეს ის ჭრილობა იყო, ორბმა რომ მიაყენა. ასე დარწმუნდნენ, რომ სტუმარი მათი შვილი იყო.

ოჯახის დედამ ჰკითხა:

– საიდან მოდიხარ, ვისი ოჯახიდან ხარო?

– მე “ფრინველის მოყვანილი ბიჭი დამარქვეს“. ერთ ქვეყანაში ეცხოვრობ, მშობლები არა მყვანან, თვითონაც არ ვიცი, ვინა ვარ და ვისი შვილიო.

მოხუცმა ქალმა უთხრა:

– ზღვაზე სარეცხს რომ ვრეცხავდით, ერთმა დიდმა ფრინველმა მოგიტაცა. აქ არის შენი სამშობლო, მე კი დედაშენი ვარ,

ეს გოგო შენი დაა, შენი ძმები კი მალე მოვლენო.

აიღემირმა ძალიან გაიხარა. საღამო ხანს ძმები დაბრუნდნენ. მათაც გაიხარეს.

ცოტა ხნის მერე ყმაწვილმა უკან დაბრუნება მოინდომა.

— ამ ქვეყნის წყალი არ მისვამს, იქ წავალ, სადაც გავიზარდებო.

— თუ დარჩენა არ გინდა, რა გაეწყობა, წადიო, — უთხრეს და რომელი ცხენითაც მოვიდა, იმაზე უკეთესი ცხენი მისცეს. ამ ცხენს ყველანაირი დაბროკოლების დაძლევა შეეძლო.

— თუ მოგკლეს იმ ქვეყანაში, სადაც ბრუნდები, ეს ცხენი შენს ცხედარს მოგვიტანსო, — უთხრეს და გაისტუმრეს.

შეჯდა აიღემირი ცხენზე, შეცურა ზღვაში, მეორე ნაპირზე გავიდა და იმ კაცთან დაბრუნდა, ვისთანაც ადრე ცხოვრობდა.

ამასობაში ბეგი სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ მოვკლა აიღემირიო. ძალიან ეშინოდა მისი და არ იცოდა, რა ექნა. აიღემირის მასპინძელი ზომ ბეგის სიძე იყო! ზოდა, მივიდა ბეგი თავის სიძესთან, კარში გამოიხმო და უთხრა:

— ან შენს თვალებს მომცემ, ან სიცოცხლესო.²

— თვალებს ვერ მოგცემ, სიცოცხლეს კი, მიიღებ, რაკი ასე გინდაო.

— შენს სიცოცხლეს რას ვაქნევ, შენი თვალები მჭირდებაო.

— ეხედავ, სხვა გზა არ არის, მოგცემ თვალებსო, — უთხრა სიძემ.

— ხვალ დილით სტუმარი თავის ცხენზე ნუ შეჯდება, სხვა ცხენზე შესვი, ნურც იარაღს იქონიებს თან. ერთად გამოჰყვევით გზას, იქ ჩავუსაფრდებიო, — თქვა ბეგმა და წავიდა.

მეორე დღეს ბეგის სიძემ უთხრა სტუმარს:

— გავიდეთ, ცოტა გავიაროთ, გულს გადააყოლებო.

— კარგო.

— შენს ცხენზე ნუ შეჯდება, ნურც იარაღს წამოიღებ, აქვე ცოტას გავივლით და მალე დავბრუნდებითო.

აიღემირ ხანს ეჭვმა გაჰკრა, მაგრამ მასპინძელს არაფერი აგრძნობინა. წასასვლელად რომ გაემზადნენ, მანც შეკაზმა თავისი ცხენი, ლაგამი ამოსდო და საჯინიბოში დაამწყვდია. თვითონ კი წავიდა, გაიარეს, მტრის სამზირთან მივიდნენ. გამოცვივდნენ ბე-

გის კაცები, თავს დაესხნენ აიღემირ ხანს და მოკლეს. საჯინიბო-ში გამომწყვდეულმა ცხენმა კარი გაამტვრია, ცხედართან მიიჭრა, ზურგზე შეიგდო და სამშობლოში წაიყვანა. დამარხეს აიღემირ ხანი თავისმა მშობლებმა.

ასე მოკვდა აიღემირ ხანი. რაც ახლა გაიმბეთ, სიმართლეა.

გლეხის შვილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხის შვილი. ერთ ღამეს ესიზმრა, ვითომ ახალ მთვარესა და მზეს შორის იჯდა. დილით ადგა და სასტუმრო სახლში⁴ შევიდა.

– სიზმარი ვნახეო.

– გვიამბეო.

– ვერ გაიმბობთ, ეს ზომ ჩემი ბედიაო.⁵

ატყდა ჩხუბი. ჩხუბში გლეხის შვილს ერთი კაციც კი შემოაკვდა. ჩაფრებმა გლეხის შვილი დაიჭირეს და ციხეში ჩაადგეს.

ამასობაში კაზაკთა ბეგმა უბიხთა ბეგს ერთი ჯოხი გამოუგზავნა. თან შიკრიკს წერილი გამოატანა. წერილში ეწერა: “გამოიცანით, რომელია ამ ჯოხის თავი და რომელი – ბოლო. თუ ვერ გამოიცნობთ, ომს გიცხადებთო“.

დახედეს ჯოხს, ხელში ატრიალეს, მაგრამ, აბა, რას გამოიცნობდნენ?! მეფის ხაბაზი ამბის მისატანად ციხეში აფრინეს.

– რა არის ახალი ქვეყანაზეო? – ჰკითხეს ციხეში ხაბაზს.

– კაზაკთა ბეგმა ჯოხი და წერილი გამოგვიგზავნა. იწერება, თუ გამოიცნობთ, ამ ჯოხს სად თავი აქვს და სად ბოლო, ხომ კარგი, თუ არადა, თქვენზე მოვდივარო. ჩვენმა ბეგმა შეყარა ყველა ცნობილი ხალხი და წერილი წაუკითხა. ერთმანეთს ეკითხებოდნენ, სად ვიპოვოთ ამის გამომცნობიო. მაგრამ ვერავინ იპოვესო, – თქვა ხაბაზმა.

– ჩემთვის რომ ეკითხათ, გამოვიცნობდიო, – თქვა გლეხის შვილმა.

მართლაც, მიჰგვარეს გლეხის შვილი ბეგს.

– აიღეთ ერთი ქვაბი, გაავსეთ წყლით და ჯოხი შიგ ჩაავ-

დეთ. ის, რომელიც წყლიდან ამოტივტივდება, თავი იქნება, რომელიც წყალში დარჩება — ბოლოო, — თქვა გლეხის შვილმა.

ასეც მოიტყნენ. ჯოხის ერთ ბოლოს, რომელიც წყლიდან ამოტივტივდა, თეთრი ნაჭერი შემოახვიეს, წყალში დარჩენილს — წითელი. კაზაკების ბეგს წერილი მისწერეს: თეთრი თავია, წითელი — ბოლოო. გლეხის შვილი კი ციხეში დააბრუნეს.

რამდენიმე წელი მშვიდობიანად იცხოვრეს. მაგრამ ერთხელაც კაზაკების ბეგმა სამი აქლემი გამოგზავნა და მოიწერა: “გამოიცანით, რომელია დედა, რომელი — შვილი და რომელი — შვილიშვილი. თუ ვერ გამოიცნობთ, ომს გამოგიცხადებთ”.

უბიხთა ბეგმა ისევ შეყარა თავისი ხალხი. ბევრი იფიქრეს, მაგრამ პასუხს ვერ მიაგნეს. ბეგმა თავისი ხაბაზი ისევ ციხეში აფრინა.

— რაო, რა ამბებიაო? — ჰკითხეს.

— კაზაკთა ბეგს სამი აქლემი გამოგზავნია. უნდა გავიგოთ, რომელია დედა, რომელი — შვილი და რომელი — შვილიშვილიო. თუ ვერ გამოვიცნობთ, ომს გვიპირებსო.

ამის გაგონებაზე გლეხის შვილმა თქვა:

— მე გამოვიცნობო.

მიუტანეს ბეგს ამბავი. ბეგმა ისევ თავისთან მიაყვანინა გლეხის შვილი.

— საქონლის ბაკი გააკეთეთ და მხოლოდ ერთი კარი დააყოლოთო.

გააკეთეს ბაკი, შეყარეს აქლემები, კარი გამოუკეტეს. შემდეგ კეტებით მისდგნენ და ცემა დაუწყეს. აქლემები გაიქცნენ, კარი გაანგრის. პირველი დედა გამოვარდა, მას შვილი მიჰყვა, ბოლოს შვილიშვილი აედევნა.

დედა აქლემს კისერზე თეთრი ნაჭერი შეაბეს, შვილს — წითელი, შვილიშვილს — შავი. აქლემები კაზაკთა ბეგს დაუბრუნეს. თან წერილიც გააყოლეს. გლეხის შვილი კი ციხეში დააბრუნეს.

კიდევ რამდენიმე წელმა მშვიდობიანად გაიარა. ერთხელაც კაზაკთა ბეგმა შვილად დაკეცილი რკინა გამოგზავნა უბიხთა ბეგს. თან წერილიც მოაყოლა. იწერებოდა: “თუ ამ რკინას ისრის ერთი გასროლით გახვრეტთ, ხომ კარგი, თუ არა და, საომრად მოვდი-

ვარო“.

უბიხთა ბეგმა ისევ შეყარა თავისი ხალხი, წერილი წაუკითხა და ჰკითხა:

– რა ექნათო?

პასუხი ვერაინ მოიფიქრა. ბეგის ხაბაზი ისევ მიაღვა ციხეს.

– რა ამბავიაო? – ჰკითხეს.

– კაზაკთა ბეგმა ასეთი და ასეთი რკინა გამოგზავნა. თუ ერთი დარტყმით გავხვრეტო, ხომ კარგი, თუ არადა, ომს გვიპირებსო.

– თუ აქედან გამომიშვებთ, მე გავხვრეტო, – თქვა გლეხის შვილმა.

ხაბაზმა ბეგს ამბავი მიუტანა. გამოუშვეს გლეხის შვილი ციხიდან და ბეგს მიჰგვარეს.

– აი, ეს რკინა ერთი დარტყმით უნდა გავხვრიტო, – უთხრეს და რკინა უჩვენეს.

გლეხის შვილმა თქვა:

– თუ ღმერთი მოწყალე თვალით გადმომხედავს, გავხვრეტო. ესროლა და რკინა გავხვრიტა.

ამის შემდეგ ბეგმა თავისუფლება უბოძა და ორი-სამი თვე თავისთან სტუმრად დატოვა.

კაზაკთა ბეგმა ახალი წერილი მოსწერა უბიხთა ბეგს: “შენ რომ ჭკვიანი და განათლებული კაცი გყავს, გამომიგზავნეო“.

ბეგმა გლეხის შვილს უთხრა:

– კაზაკთა ბეგი შენს თავსა მთხოვსო.

– გამგზავნე და წავალო.

– კარგი, წადიო.

– ჩაკეტონ თავლაში ხუთი ცხენი და ოცდაათი ღლე ასუქონო, – ითხოვა გლეხის შვილმა.

მართლაც, ჩაკეტეს ხუთი ცხენი თავლაში და ოცდაათი ღლის განმავლობაში ასუქებდნენ. რომ გასუქდნენ, გლეხის შვილმა ცხენები შეკაზმა, ბეგს ხელზე აკოცა, ერთ ცხენზე შეჯდა, დანარჩენი ოთხი თან გაიყოლა და გზას გაუდგა.

გზად ერთ მხვნელ-მთესველს შეხვდა, ფეხებზე წისქვილის ქვები ება.

– ბარაქა შენს საქმესო, – მიესალმა.

– აგაშენოს ღმერთმაო, – უპასუხა მხენელ-მთესველმა.

– ფეხებზე წისქვილის ქვები რად შეგებამს? ეტყობა, დიდი ძალ-ღონის პატრონი ხარო.

– ეს რა გასაკვირია? აი, გლეხის შვილი, კაზაკთა ბეგის გამოგზავნილი რკინა რომ გახვრიტა, ჩემზე ძლიერიიო.

– იმ კაცმა რომ შეგებამხანაგოს, გაჰყვებოდი, სადაც წავიდოდაო?

– ყველგან გავყვებოდიო.

– მე ვარ ის კაცი. მიდი, ამოირჩიე ცხენი, შეჯექი და წავიდეთო.

მიატოვა მხენელ-მთესველმა მინდორში გუთნეული, შეჯდა ცხენზე და გაჰყვა.

ერთი ღლის სავალი რომ გაიარეს, მიწაზე გაწოლილი ვილაც კაცი დაინახეს.

– მიწაზე რატომ წევხარო? – ჰკითხეს.

– ვუსმენ, რასაც ამ ქვეყნად ლაპარაკობენო.

– მახვილი ყური გქონიაო.

– ეს რა გასაკვირია?! საკვირველი ის არის, გლეხის შვილმა კაზაკთა ბეგის გამოგზავნილი რკინა რომ გახვრიტა. აი, ვინ არის ქების ღირსიო.

– იმ გლეხის შვილმა რომ შეგებამხანაგოს, გაჰყვები, სადაც წავიყვანსო?

– გავყვებიო.

– თუ ვერეა, ის გლეხის შვილი მე ვარო.

– მოვდივარო.

– ამ ცხენზე შეჯექი და წავიდეთო.

გაუდგნენ გზას. ერთ დიდ ტბას მიადგნენ. ტბასთან კაცი იწვა.

– აქ რას აკეთებო? – ჰკითხეს.

– ამ წყალს ერთს მოვსვამ და სულ დაველევ. მერე, როცა მომეპრიანება, უკან ამოვუშვებო.

– რა ძალა გქონიაო?!

– ეს რა ძალაა! ძალა იმ გლეხის შვილსა აქვს, კაზაკთა ბეგის გამოგზავნილი რკინა რომ გახვრიტაო.

– იმ გლეხის შვილმა რომ შეგებამხანაგოს, გაჰყვები, სადაც

წავიყვანსო?

– გავყვებიო.

– ის გლახის შვილი მე ვარ, შეჯექი ამ ცხენზეო!

– ძალიან კარგო, – თქვა, შეჯდა ცხენზე და გაჰყვა.

იარეს ერთი-ორი დღე და გზაზე ერთ კაცს გადააწყდნენ. კაცი მთას მისდგომოდა და წერაქვით თხრიდა.

– რას აკეთებო? – ჰკითხეს.

– ამ მთას ვანგრეე. მიწას კი ასი ათას ნაბიჯზე ვისვრიო.

– რა ძალ-ღონე გქონიაო!

– ეს რა არის! აი, გლახის შვილმა რომ კაზაკთა ბეგის გამოგზავნილი რკინა გახვრიტა, ის არის, რაც არისო.

– იმ გლახის შვილმა რომ შეგიამხანაგოს, გაჰყვებოდი, სადაც წავიდოდაო?

– გავყვებოდიო.

– ის გლახის შვილი მე ვარ. შეჯექი ამ ცხენზეო.

ასე გახდნენ ხუთნი.

ერთი-ორი დღე კიდევ იარეს და ჩავიდნენ კაზაკთა ქვეყანაში.

მცველებმა გააჩერეს:

– საიდან მოდიხართო? – ჰკითხეს.

– თქვენმა ბეგმა წერილი მოგვწერა და უბიხთა ქვეყნიდან ვესტუმრეთო.

– ძალიან კარგო, – და ბეგთან მიიყვანეს.

– ესენი შენი სტუმრები არიანო.

ბეგმა სტუმრები კოშკში დააბინავა. იქ ოც დღეს დარჩნენ.

ამასობაში კაზაკთა ბეგმა შეყარა თავის დიდებულები და უთხრა:

– რა ეუყოთ ამ ხალხს? მე მგონია, კარგი იქნება, თუ უკან აღარ გაუშვებთ. თქვენ რაღას იტყვითო?

– უკეთესი იქნება, თუ დავხოცავთო. ოღონდ ისე, რომ მათი სიკვდილი ჩვენ არ დაგვბრალდესო.

ერთმა დიდებულმა თქვა:

– წყლის მოტანა ვუბრძანოთ. სათითაოდ გავგზავნოთ ბაღში წყაროსთან და გველეშაპს შევაჭამოთო.

ბეგი დათანხმდა.

– ძალიან კარიგო.

ყურმახვილამ ყველაფერი გაიგონა და მეგობრები გააფრთხილა. ფეხებზე დოლაბები რომ ჰქონდა ამოკრული, იმ მხენელ-მთელსველმა თქვა:

– წავალ და მოვკლავ იმ გველეშაქსო.

როცა სტუმრებს საჭმელი მიართვეს, მათ წყალი მოითხოვეს. მისცეს თუნგი და უთხრეს:

– ბალიდან მოიტანეთ წყალიო.

მხენელ-მთესველმა აიღო თუნგი და ბალისკენ წავიდა. ერთბაშად გამოჩნდა გველეშაქი. წყაროსთან დიდი ქვა ეგდო. მხენელ-მთესველმა ქვას ხელი დაავლო და გველეშაქს ესროლა, შიგ თავში მოარტყა და მოკლა. თუნგი გაავსო, მოუტანა წყალი თავის მეგობრებს და დააღვინა.

ბეგს ეს ამბავი მაშინვე გააგებინეს. მან ისევ შეყარა თავისი დიდებულები და ჰკითხა:

– ახლა რა ვქნათო?

– შეიდი ქვაბი წყლით ავავსოთ, ჩავყაროთ შიგ ფქვილი და მარილი, ვადუღოთ, მერე პური დავუმატოთ და დავაღვინოთ. ასე დავხოცავთო.

ასეც გადაწყვიტეს.

ყურმახვილამ ყველაფერი გაიგონა და თავისი მეგობრები გააფრთხილა. ტბის მსმელმა თქვა:

– არაფერია, მაგას მე დავლევო.

მეორე დილას მსახურებმა შეიდი ქვაბი წვნიანი მოხარშეს და სტუმრებს მიართვეს.

– უსათუოდ უნდა დალიოთო.

ტბის მსმელმა:

– ოთხი ფიალა მომიტანეთო.

მოუტანეს. ტბის მსმელმა თავის მეგობრებს თითო ფიალა დააღვინა. თავად კი ქვაბები მოიყუდა და ერთმანეთის მიყოლებით გამოცალა.

რამდენიმე დღე მშვიდად გაატარეს. კაზაკთა ბეგმა ისევ შეყარა დიდებულები:

– ახლა რაღა ვქნათ, რა არ ვიღონეთ, არაფერმა გაჭრაო.

ძალიან შეშინდნენ.

— ხმლის ერთი დაკვრით მოვაჭრევეინოთ ჩვენი დიდი ხეო.

ყურმახვილამ გაიგონა და მეგობრები გააფრთხილა. გლეხის შვილმა თქვა:

— ღვთის მადლით, მე მოვჭრი ხესო.

მეგობრები დაეთანხმნენ.

კაზაკთა ბეგმა ათი დღის ვადა მისცა. მეათე დღეს სეირის საყურებლად მთელი ქვეყანა დიდი ხის ქვეშ შეყარეს.

გლეხის შვილიც მოვიდა თავისი მეგობრებით. ხელ-ფეხი, პირი დაიბანა და დიდხანს ლოცულობდა. მერე აიღო ხმალი, ღვთისაგან ნაბოძები მთელი ძალითა და ღონით დაჰკრა ხეს. დაჰკრა და ერთი დარტყმით მოჭრა. ხე წაიქცა და უამრავი ხალხი ქვეშ მოიყოლა.

მეგობრები კი ცხენებს მოახტნენ და გაქუსლეს. შეცვივდნენ ბეგის სასახლეში, მოიტაცეს ბეგის ასული და გზას გაუყენეს. ჯარი დაადევნეს. მესამე დღეს დაეწიათ მღვეარი. გლეხის შვილის ის მეგობარი, წერაქვით მთას რომ ანგრევედა, ცხენიდან ჩამოხტა, მოთხარა ერთი მთა და მიწა მღვეარს შეაყარა. იმდენი შეაყარა, რომ ჯარი დამარხა კიდეც.

როცა უკანა გზაზე იმ ადგილს მიადგნენ, სადაც წერაქვიანი კაცი შემოხვდათ, მან წასვლა აღარ ინდომა და იქ დარჩა. მახვილი ყურის პატრონის სახლთან რომ მივიდნენ, აღარც ის გაჰყვა მეგობრებს, შინ დარჩა. ტბასთან რომ მივიდნენ, წყლის მსმელმაც აღარ ინდომა გზის გაგრძელება. შემდეგ მხვნელ-მთესველის მინდორს მიადგნენ, გუთანში შებმული მისი უღელი ხარი ისევ იქ იყო.

მხვნელ-მთესველმაც:

— მე აღარსად წამომსვლელი არა ვარო, — და დარჩა.

გლეხის შვილი და კაზაკთა ბეგის ასული უბიხთა ბეგის სახლში მივიდნენ. დიდი სიხარულით მიიღეს. მთელი ქვეყანა მოდიოდა მათ სანახავად. გლეხის შვილს კაზაკთა ბეგის ასულიც შერთეს და უბიხთა ბეგისაც. ასე აუხდა სიზმარი — მზესა და ახალ მთვარეს შორის რომ იჯდა. ახლა ცხადში იჯდა მზესა და მთვარეს შორის და საკუთარი თვალით ხედავდა ორივეს.

ქორწილი თხუთმეტი დღეს გაგრძელდა. იმ ქვეყანაში არავინ დარჩენილა, რომ არ მოსულიყო. მეც დამპატივეს. ქორწილი რომ დასრულდა, ვუთხარი:

— შინ მივდივარ-მეთქი.

საგზლად სამი მსხალი მომცეს. შინ რომ ვბრუნდებოდი, ერთი მსხალი ამ ამბის მომყოლმა შეჭამა, მეორე — მე შეეჭამე, მესამე — ილიასმა. სადაც გუშინ გახლდით, დღეს იქ აღარა ვარ.

სამი რჩევა

იყო ორი ბეგი. მოკვდა ერთი მათგანი და შვილს დიდი ქონება დაუტოვა. ვისაც ქონება აქვს, მეგობრები არ მოაკლდება. ბეგის შვილმაც მთელი ქონება მეგობრებს შეაჭამა. ცარიელ-ტარიელი ვიღას უნდოდა და, ნელ-ნელა მეგობრებიც შემოეცალნენ, დარჩა მარტო. გაახსენდა მამის მეგობარი ბეგი:

— ჰო, მართლა, მამაჩემს ხომ ერთი მეგობარი ბეგი ჰყავდა, მივალ, ვთხოვ რასმე. თუ ფულს მომცემს, გამოვართმევო, — იფიქრა.

ადგა და წავიდა. მივიდა ბეგთან. ბეგმა თავისი მეგობრის შვილი რომ ნახა, გაიხარა, დალოცა.

— ღმერთმა კარგად გამყოფოს. მამაჩემი შენი მეგობარი იყო, ვიფიქრე, წავალ, დახმარებას ვთხოვ-მეთქი, — უთხრა ვაჟმა.

— რა დახმარება გინდაო?

— თუ ქონებას მიწყალობებ, უკან დავბრუნდებიო.

— თუ ჩემთან მხოლოდ ქონებისთვის მოსულხარ, რაც ამ მინდორზეა, ყველაფერი შენი იყოს, მაგრამ ამის ნაცვლად სამ რჩევას მოგცემ. სამი დღის ვადა მომიცია, იფიქრე და აირჩიე — ქონება თუ სამი რჩევაო?

გავიდა სამი დღე. ბეგი სასტუმრო სახლში შევიდა და სტუმარს ჰკითხა:

— რა აირჩიეო?

— სამ რჩევას თუ მომცემ, წავალო.

— ყური მიგდევ. პირველი: დღეს გზას რომ დაადგები და იმე-

დი გაქვს, დაღამებამდე სოფელში ჩახვალ, გახსოვდეს: თუ დაგიღამდეს, გზას ნულარ გააგრძელებ, გაჩერდი და თავშესაფარი ეძებო; მეორე: თუ ნახო, რომ კაცს მოსაკლავად მისდევენ, არ მიეშველო, არ ეცადო მის გადარჩენას, ეს საქმე ღმერთს მიანდო; მესამე: კაცის მოკლა თუ დააპირო, ნუ აჩქარდები, კარგად იფიქრე, აწონ-დაწონე და ისე გადაწყვიტო, — დაარიგა ბეგმა.

დაადგა სტუმარი გზას და წავიდა. შემოაღამდა. გაჩერდა. თავშესაფარი მოძებნა, ცეცხლი დაანთო და ღამე კოცონთან გაატარა. მეორე დღეს გზად ცხენი შემოხვდა. ზედ არავინ იჯდა, მაგრამ უზომო ოქროთი იყო დასაპალნებული. ვაჟმა დაიჭირა ცხენი, შეჯდა და გზა გააგრძელა. ერთი ცხენი კიდევ შემოეყარა, ისიც უმხედრო, ისიც ოქროთი დასაპალნებული. ცხენი უნაგირზე მიიბა და წაიყვანა. ცოტა რომ გაიარა, მესამე ცხენიც შემოხვდა. ისიც უმხედრო და ოქროთი დასაპალნებული. ის ცხენიც თან წაიყვანა. გზაზე სამი გაყინული კაცი ნახა. ესენი ცხენების პატრონები იყვნენ. “ბეგის რჩევა რომ არ დამეჯერებინა, მეც ხომ გავიყინებოდიო“, — თქვა ვაჟმა.

უკან რომ ბრუნდებოდა, ერთ სოფელში შევიდა. სასტუმრო სახლში ჩამოხტა, სამ დღეს დარჩა. სოფელში მამაკაცის ჭაჭანება არ იყო. სტუმარსა და ცხენებს სამი გათხოვილი ქალი ემსახურებოდა. როცა ერთი ქალი ლოგინს უშლიდა, ვაჟმა ჰკითხა:

— დაო, მამაკაცები სად არიან, რატომ არ ჩანანო?

— საუბედუროდ, იქ, ქვემოთ, ერთი გზა გადის. ყველანი იმ გზით წავიდნენ და უკან აღარ დაბრუნებულან. ჩვენი ქმრებიც უკან გაჰყვნენ და აღარც ისინი მობრუნებულანო, — უპასუხა ქალმა.

სტუმარმა დაიძინა. მეორე დღეს თქვა:

— მეც იმ გზით წავალ. ჩემ დაბრუნებამდე ამ სამ ცხენს მიმიხედეთო, — ადგა და წავიდა იქით, საითაც კაცები წასულიყვნენ და აღარ დაბრუნებულყვნენ.

გზად ციხესიმაგრეს მიაღწა. ციხესიმაგრის კართან ხალხს მოეყარა თავი. ერთ მხარეს თხუთმეტობოდე წლის ლამაზი ქალი იყო მიჯაჭვული, მოერეზე — ღორის მსგავსი რაღაც არება. ხალხი ქალს უყვიროდა:

— ამ ურჩხულს გაჰყევ ცოლად, თორემ მოგკლავთო!

თან მათრახს ურტყამდნენ.

— რა დააშავა ამ ქალმაო? — იკითხა ვაჟმა.

— ამ ურჩხულს უნდა მივათხოვოთო.

ვაჟს შეეცოდა ქალი, მაგრამ ბეგის ნათქვამი გაახსენდა:

— რას იზამ, ღმერთს ასეთი ბედი მოუცია შენთვის, გაჰყვეო,

— უთხრა.

ამის თქმაც და ღმერთმა მაშინვე მოხსნა ჯაღო: ის ურჩხული, ღორს რომ ჰგავდა, ლამაზ, ტანად ვაჟაკად იქცა. ქალი და ვაჟი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— შენ გვიხსენიო, — უთხრეს ვაჟს, — წამოდი ციხესიმაგრეშიო.

გალავანში რომ შევიდნენ, ვაჟმა ფანჯარაში შეიხედა. დაინახა, გრძელწვერა და გრძელფრჩხილებიანი კაცები.

— ესენი ვინ არიანო? — იკითხა.

— ესენი შენზე აღრე მოვიდნენ აქ. ისინი კითხულობდნენ: “რატომ სცემთ ამ ქალსო?” ამიტომ ჩაკყარეთ დილეგში. შენც რომ ასე გეთქვა, დაგიჭერდით, მაგრამ რაკი ღმერთი ახსენე, ამით ჩვენც გადაგვარჩინე და ესენიცო.

— გამოუშვით ეს ხალხიო, — უთხრა ვაჟმა. მართლაც, გამოუშვეს.

ვაჟი სამ დღეს დარჩა სტუმრად, შემდეგ თქვა, მივდივარო.

— გვითხარი, რა გინდა, რა მოგცეთ, ძვირფასი რომ იყოს და წაღებაც არ გაგიჭირდესო.

— რაც თქვენ გინდათ, ის მომეცითო, — თქვა ვაჟმა. მისცეს სამი ცხენის საპალნე თვალ-მარგალიტი და გაისტუმრეს. წამოიყვანა ვაჟმა გათავისუფლებული ხალხი და იმ სოფელში დაბრუნდა, სადაც ცხენები ჰყავდა დატოვებული. იქაც სამი დღე დარჩა.

— ახლა კი შინ უნდა დავბრუნდეთ, — თქვა ვაჟმა.

— სადაც შენ წახვალ, ჩვენც იქ წამოვალთო, — უთხრეს და ყველანი გაჰყვნენ.

— თქვენ ნელა წამოდით, მე ავჩქარდები, ვნახავ, რა ხდება სოფელშიო, — თქვა ვაჟმა და დაწინაურდა.

გზაზე შემოალამდა. უკვე შუალამე იყო, თავის ეზოში რომ შევიდა. სახლი დანგრეული დახვდა. მხოლოდ სასტუმრო სახლი გადარჩენილიყო. მიუახლოვდა და ფანჯრიდან შეიხედა. დაინახა, ერთად იწვნენ ქალი და კაცი. დააკვირდა და თავის ცოლი იცნო.

“ეს ქალი ნამდვილად ჩემი ცოლია. ის კაცი ვინდაა?! ორივეს ერთად დაეხსენებო!” თქვა და იარაღი შემართა, მაგრამ ბეგის ნათქვამი გაახსენდა. დაფიქრდა. ყური მიუგღო. ქალთან მწოლარე კაცმა გაიღვიძა:

– დედა, მამა სად არის, სად წავიდაო?

– მამაშენი ძაღვ მოვა, დღე-ღამეზე გამოჩნდება და დიდ სიმდიდრეს მოგიტანსო, – უპასუხა დედამ.

ვაჟი გზას რომ დაადგა, ცოლი ფეხმძიმედ დატოვა. იმდენ ხანს იყო სამშობლოდან გადახვეწილი, რომ ბიჭი უკვე თხუთმეტი წლისა გამხდარიყო.

მამამ კარზე დააკაკუნა.

– სტუმარი მოვიდა, ადექი, კარი გაუღეო, – უთხრა დედამ.

ბიჭმა კარი გააღო. ქალი ადგა.

– მე მეზობლებთან გადავალო, – თქვა.

– ნურსად წახვალ, მე შენი ქმარი ვარო, – თქვა სტუმარმა და შევიდა. დილაძე იქ დარჩა. დილით კი წავიდა თავისი ამხანაგების შესახვედრად. სოფელში ყველანი ერთად დაბრუნდნენ და დიდი ლხინი გამართეს. მეც იქ გახლდით. რომ წამოვედი, სამი ვაშლი მომცეს. ერთი მე შევჭამე, მეორე ზღაპრის მთქმელს მივეცი, მესამე ილიასს მივართვი.

კაცი, რომელმაც ირჩია, ახალგაზრდობაში ყოფილიყო უბედური

იყო ერთი მდიდარი ახალგაზრდა კაცი. ჰყავდა ცოლი და ორი ბიჭი. ერთხელ სიზმარში ვიღაცამ ჰკითხა:

– ერთხანს უბედური იქნები. როდის გირჩევნა, უბედური რომ იყო სიბერეში თუ ახალგაზრდობაშიო?

კაცმა ვერაფერი უპასუხა. მეორე ღამეს ისევ გაუმეორეს კითხვა, მაგრამ ისევ ვერაფერი ირჩია. მესამე ღამეს კი იფიქრა, თუ ისევ მკითხავენ, ვეტყვი, რომ უბედურება ახალგაზრდობაში მირჩევნია. სიბერეში, ვაი თუ, ვერ გადავიტანო.

იმ ღამეს, ცოლის გვერდით რომ ეძინა, ისევ დაესიზმრა, ეკითხებოდნენ:

– უბედურება სიბერეში გირჩევნია, თუ ახალგაზრდობაში?

– თუ უბედურება მელის, მირჩევნია, ახალგაზრდობაში გადავიტანო, – უპასუხა მძინარმა, თან ცოლის მკერდზე მოუხვდა ხელი. ცოლს გაეღვიძა:

– რას სჩადი, გაგიჟდი? რაშია საქმეო?

ქმარს სიზმრის მოყოლა არ უნდოდა და უთხრა:

– არაფერია, ბავშვობა დაბესიზმრა და უნებურად მუშტი მოეიქნეო.

რამდენიმე დღის შემდეგ შინიდან რაღაც საქმეზე გავიდა. ერთბაშად ყვირილი გაიგონა და დაინახა, როგორ ავარდა ცეცხლის ალი იმ მხარეს, სადაც მისი სახლი იდგა. ხალხის ყვირილიც მოესმა:

– აჰმედ ბეგის სახლი იწვისო!

ხალხი გარბოდა. კაცი ფეხს არ იცვლიდა, უყურებდა, როგორ იწვოდა მისი სახლი. ცეცხლი ვერ ჩააქრეს, მაგრამ აჰმედის ცოლ-შვილი კი გადაარჩინეს. სახლი ისე დაიწვა, კოვზის გამოტანაც ვერ შეძლეს. ხალხმა მიატოვა აღმოდებული სახლი და აჰმედს მიეჭრა:

– შენ რა კაცი ხარ?! სახლი გეწვის, შენ კი მშვიდად ზიხარ. ცოლ-შვილი კი გადაგირჩინეთ, მაგრამ სხვა – ვერაფერიო.

– მაღლობა მომიხსენებია. მე რომ მოვსულიყავი, მაგასაც ვერ მოვახერხებდიო. ღმერთის წყალობით ცოლ-შვილი ხომ გადამირჩაო.

აჰმედ ბეგი რამდენიმე დღე კიდევ დარჩა სოფელში, მაგრამ დაინახა, რომ ის ხალხი, ვისთვისაც სიკეთე გაეკეთებინა, პირს არიდებდა.

ერთი დღის საეალზე საძოვრები ჰქონდა. იქ ღიღძალი ცხვარი და ცხენი დაუდიოდა. წაიყვანა თავისი ცოლ-შვილი და იქ წავიდა, მაგრამ თავისი მწყემსები შუა გზაზე შემოხვდნენ.

– საით გაგიწევიათ? მე თქვენთან მოვდიოდიო.

– დიდი წვიმა მოვიდა. ნიაღვარი მოვარდა და შენი ცხვარი და ცხენი ერთიანად ზღვაში ჩაიტანაო, – უპასუხეს მწყემსებმა.

– თუ ეგრეა, თავისუფალი ხართ! მე აღარაფერში მჭირდებით. თქვენს თავს მიხედეთ. მე კი ვნახავ, კიდევ რა მიწერიაო, – თქვა და ისევ თავის სოფელში დაბრუნდა.

– ხან სად ათევდნენ ღამეს, ხან – სად. ბოლოს კაცმა უთხრა

თავის ცოლს:

– ასე ყოფნა აღარ შეიძლება. ჩვენი ბედ-იღბალი არც მოყვარეს აწუხებს, არც – მტერს. რომ დაბინდება, მოგვიდოთ ხელი შვილებს და ისე წავიდეთ, რომ არავინ დაგვინახოს. ვიაროთ, სანამ ლუკმაპურის საშოვნელად რამე საქმეს ვიპოვით, სადაც არავინ გვიცნობსო.

მართლაც, დაითითოეს ბავშვები, ხელში აიყვანეს და გზას გაუდგნენ. იარეს, იარეს და ერთ სოფელში შევიდნენ. ერთი კაცი შემოხვდათ.

– ლამეს ვინ გაგვათენებინებსო? – ჰკითხეს.

– სოფლის მამასახლისთან მიდით. ის გარეთ არ დაგტოვებთო, – უთხრა კაცმა, გაუძღვა და მამასახლისთან მიიყვანა. მამასახლისმა აჰმედ ბეგი სასტუმრო სახლში შეიყვანა, მისი ცოლ-შვილი კი – სამზად სახლში.

სადამოობით სოფლელები სასტუმრო სახლში იყრიდნენ ხოლმე თავს. უცხო კაცი რომ დაინახეს, ჰკითხეს:

– ვინა ხარ, საიდან მოდიხარ და საით გაგიწევიაო?

– ვივლი, სანამ რამე სამუშაოს არ ვიშოვიო.

– რა შეგიძლიაო?

– რას გამაკეთებინებთო?

– მენახირე გვჭირდება. თუ შეგიძლია, დარჩი და მენახირედ დაგაყენებთო.

– თანახმა ვარ. მაჩვენეთ თქვენი ნახირი და ჩემი საქმისა მე ვიცი, ოღონდ ცოლ-შვილისათვის რამე თავშესაფარი გამომინახეთო.

– ძალიან კარგიო.

მეორე დღეს სოფლის ბოლოს, იქ, სადაც ნახირს მოერეკებოდნენ, ერთი ცარიელი სახლი აჩვენეს. ცოლ-შვილი იქ დააბინავა. თვითონ ნახირი გარეკა. შრომობდა და სოფლელების გულს იგებდა.

ერთხელაც, როცა ნახირი გარეკა, იმ გაშლილ მინდორზე, სადაც მისი სახლი იდგა, ჯარი დაბანაკდა, კარები დასცეს. სოფლელები ჯართან შესახვედრად მივიდნენ. ჯარის უფროსმა სთხოვა, ცეცხლი დამინთეთო.

– ცეცხლი რად გინდაო?

— ჩაის ადუღება მინდაო.

მამასახლისმა უთხრა:

— მაგას აქვე, ამ სახლში გაეაკეთებთო.

ჯარის უფროსს მოეწონა ეს ამბავი. სოფლელები მენახირის ცოლს მიადგნენ:

— ჩაი აგვიდუღეო.

ქალმა აადუღა ჩაი და გაატანა. ჯარის უფროსმა დალია და იკითხა:

— ვინ აადუღაო?

უთხრეს, ვინც აადუღა.

— მინდა, იმ ქალს ცოტა ფული მივცეო.

სოფლელებს გაუხარდათ:

— კარგს იზამთ, ღარიბები არიან. მოგვეცით ფული და წავეულებთო.

— არა, ჩემი ხელით მინდა მივცეო.

შეჯდა ცხენზე, ჯარსაც ცხენებზე შესხდომა უბრძანა, მეგზურად რამდენიმე სოფლელი გაიყოლა და ქალის სახლისაკენ წავიდნენ. სახლს რომ მიუახლოვდნენ, დაუძახეს:

— გამოდი, ჯარის უფროსი ფულს მოგცემსო!

— თქვენ გამოგატანოთ! — გამოსძახა ქალმა სოფლელებს.

ჯარის უფროსი თავისაზე იდგა:

— კარებიდან ხელი გამოყოს და ფულს მუჭში ჩაუდებო.

ქალმა ხელი გამოყო. ჯარის უფროსმა ჯიბეზე ხელი გაიკრა, ფული ამოიღო, ქალს მუჭში ჩაუღო, მაგრამ მაშინვე მაჯაში სტაცა ხელი, გარეთ გამოათრია, ტახტაზე შემოიგდო, ცხენს დეზი ჰკრა და გააჭენა. ჯარიც გაჰყვა. დარჩნენ ბავშვები უღელოდ და მორთეს ტირილი.

ამის შემყურე სოფლელებმა აღარ იცოდნენ, რა ექნათ. მოსალამოვდა. ბავშვები ტირილით შეეგებნენ მამას.

— რა მოგივიდათო? — ჰკითხა მამამ.

— დღეს ჯარი მოვიდა. იმ ჯარიდან ერთმა დედა წაიყვანა. ტირილის მეტი სხვა რა დაგვრჩენიაო.

— ნუ ტირით. დედას მე ვიპოვიო.

მერე შინ დაბრუნებულმა მეზობლებში გაიკითხა და გაიგო,

რაც მომხდარიყო. მერე იფიქრა: “აქ რომ დაერჩე, სოფლელები წამომძახებენ: ლაჩარი რომ არ ყოფილიყავი, ცოლს ვერ მოგტაცებდნენო“. სჯობს, ჩემი შვილებიანად აქედან გადავიკარგოო“.

რომ დაღამდა, წაიყვანა შვილები და წავიდა. იარეს, იარეს და ერთ მდინარეს მიაღვინ. ამასობაში მზეც ამოვიდა. კაცმა დაათვალიერა მდინარე და თქვა: “ამაზე გადასვლა ძნელი არ უნდა იყოსო“. ერთი ბავშვი ნაპირზე დასვა, მეორე მხრებზე შეისვა და მეორე ნაპირზე გაიყვანა. გამობრუნდა და ახლა მეორე შვილი შეისვა მხრებზე. შუამდე რომ შევიდა, დაინახა, რომ მეორე ნაპირზე დათვი მივიდა და მისი შვილი წაიყვანა. მამა, შიშისაგან ენაჩავარდნილი, წყალში იდგა და ფეხს ვერ იცვლიდა. ბოლოს დადევნება დააპირა, მაგრამ ბავშვმა თავი ველარ შეიკავა, წყალში ჩაბარდა. წყალმა ბავშვი წაიღო. დარჩა აჰმედ ბეგი მარტოდმარტო.

გავიდა ნაპირზე, დაჯდა და ფიქრს მიეცა: “რა ექნა, როგორ მოვიქცე. ანდა, რა აზრი აქვს ფიქრს, მაინც ვერაფერს გავხვდებიო“. აიღო თავი და წავიდა. დღე და ღამე მიდიოდა. თუ იშოვიდა რამეს, შეჭამდა, თუ არადა, მშვიერი აგრძელებდა გზას.

ბევრი იარა, თუ ცოტა, ერთ ჩაიხანას მიაღვა. შევიდა და კუთხეში მიიყუთა. ჩაიხანის პატრონმა უცხო კაცი რომ დაინახა, დაუძახა:

– კუთხეში რას მიმჯდარხარ? მოდი, გვერდით მომიჯექი, ვინა ხარ და საით გაგიწევიაო?

– ლუკმაპურის საშოვნელად ვარ წამოსულიო.

– ჩემთან თუ იმუშავებო?

– რასაც მიბრძანებ, გვაკეთებო.

– მაშ, ქურასთან დადექიო!

გავიდა ხანი. აჰმედი ისე დაოსტატდა, რომ თავის პატრონზე უკეთეს ჩაის ადულებდა. ამასობაში რამდენიმე წელიც გავიდა.

ერთხელ იმ ქვეყნის ბეგმა გამოაცხადა:

– ვინც საუკეთესო ლექსს დაწერს, ბევრ ფულს მივცემო.

ხალხი ერთმანეთს ეუბნებოდა: ამის შემძლებელი ჩვენში ვინ იქნებაო? ვერავინაც ვერ დაწერსო.

გაიგო აჰმედ ბეგმა ეს ამბავი და თქვა:

– ამას მე შევძლებო.

მართლაც, დაჯდა და დაწერა. თავისი სახელიც. მიაწერა. ბეგს მიართვეს. იმან წაიკითხა და სხვების დაწერილზე უფრო აჰმედ ბეგის ლექსი მოეწონა. თავისთან დააძახებინა და უთხრა:

— დღეიდან ჩემს სასახლეში იცხოვრებო.

დარჩა აჰმედი და ცხოვრობს ბეგის სასახლეში. სასახლის ბაღში ხეზე ქალი იყო მიბმული. ქალს დღე და ღამ ორი კაცი ჰყარაულობდა. ერთხელ ერთმა უთხრა მეორეს:

— მოდი, რამე მიაბე, როგორმე დრო გავიყვანოთო.

— გაიბზობ, მაგრამ იცოდე, ჩემი ნაამბობი გულს დაგწევესო.

— მაინც მიაბეო.

— მე მდიდარი კაცის — აჰმედ ბეგის შვილი ვარ. დედას ორი ბიჭი ყვავდით. ჯერ იყო და სახლ-კარი გადაგვეწვა, მერე — ნიაღვარმა დიდძალი საქონელი მოგეტაცა და ზღვაში ჩაიტანა. მაშინ მამაჩემმა ჩვენ და დედაჩვენი ერთ შორეულ სოფელში წაგვიყვანა, სადაც მამაჩემს არავინ იცნობდა. მენახირედ დადგა. მამა ნახირს რომ გარეკავდა, ჩვენ სოფლის განაპირას ერთ სახლში ვრჩებოდით.

ერთხელ ჩვენი სახლის ახლოს ჯარმა კარები დასცა. ჯარის უფროსმა სტაცა ხელი დედაჩემს, ტახტაზე შემოიგდო და გაიტაცა. ბავშვები მწარედ ვტიროდით, საღამოს მამა შინ რომ დაბრუნდა, ყველაფერი ეუამბეთ. იმავე ღამეს მამამ სოფლიდან წაგვასხა. დილით ერთ მდინარეს მივაღუქით. მამამ მითხრა, აქ მომიცადეო, შემოისვა მხრებზე ჩემი უმცროსი ძმა და გაღმა გაიყვანა. მობრუნდა და მე რომ გადავყავდი, გაღმა ნაპირზე დათვმა ჩემი ძმა მოიტაცა. მამამ ფეხს აუჩქარა. მე თავი ველარ შევიმაგრე და წყალში ჩავვარდი. საწყალმა მამაჩემმა ჩემი დაჭერა ვერ შეძლო. წყალმა წამიღო, წისქვილის ღარისაკენ გამაქანა. იქ კი წისქვილის ფრთას ჩამოვეკიდე. ამ დროს მეწისქვილეც მოვიდა, დაძინახა და გადამარჩინა. თავისთან წამიყვანა და შვილივით გამზარდა. ჯარში წასვლამდე მასთან ვცხოვრობდიო.

მეორე ყარაულმა უთხრა:

— დათვმა რომ შენი უმცროსი ძმა გაიტაცა, მე ვარო. ის დათვი მონადირეებმა მოკლეს, მე კი ამიყვანეს და გამზარდესო. ბოლოს, მეც ჯარში წავედი. ხედავ, ძმები ვყოფილვართ, მაგრამ

ჩვენი დედ-მამა როგორღა ვიპოვოთო?

ამ ღროს ხეზე მიბმულმა ქალმა თქვა:

— თქვენ რომ ჰყარაულობთ, ის ქალი დედათქვენია. იმ კაცმა რომ მომიტაცა, ჩემი ცოლად შერთვა მონიდომა, მაგრამ უარი ვუთხარი. სანამ არ დაეთანხმდები, ასე ვიქნები ხეზე მიბმულიო.

ამის გაგონებაზე ბიჭები მისცვივდნენ და დედა გაათავისუფლეს. ბეგს ამბავი მიუტანეს. ბეგი გაჯავრდა:

— დახოცეთ ის ბიჭებიო! — ბრძანა.

მაშინ აჰმედ ბეგმა უთხრა:

— თვითონ მივიდეთ და ვნახოთ, რაშია საქმეო.

ბიჭებმა ყველაფერი უამბეს.

ამის გაგონებაზე აჰმედმა თქვა:

— ხეზე მიბმული ქალი ჩემი ცოლია. ეს ბიჭები კი ჩემი შვილები არიანო. ბეგო, რაც მოისმინე, მართალია. ახლა თვითონ გადაწყვიტე, როგორ მოიქცეო.

ბეგმა ბრძანა:

— რაკი ოთხივენი ერთნაირად ლაპარაკობთ, მეც სათქმელი აღარაფერი მაქვს და დაგლოცავთო.

ბეგმა აჰმედს დიდძალი ფული და საქონელი მისცა. მთელი ცხოვრება თავის დანაშაულს ინანიებდა და რაც შეეძლო, ეხმარებოდა.

აჰმედი ბედნიერად ცხოვრობდა. უწინდელზე უფრო მდიდარი იყო.

აი, ჩვენ ეს გაგვიგონია. თუ სხვას უკეთესი რამ გაუგონია, გვიამბოს.

მოხუცთა დახოცვის დასასრული

(ლეგენდა)

ჩვენი წინაპრები მოხუცებს ეუბნებოდნენ: “ღმერთმა ველური ვაზის ლერწით გათრიოსო“.⁶ აი, რატომ ეტყოდნენ ასე:

ძველად ხალხი დიდხანს ცოცხლობდა. თუ ღრმად მოხუცებულნი კაცი თავისი სიკვდილით არ მოკვდებოდა, მას ველური ვაზის

ლერწს ჩააბამდნენ და ხევში ჩაიყვანდნენ.

ერთხელ ერთმა კაცმა მოხუც მამას ლერწი რომ ჩააბა და ხევში თრევა-თრევით ჩაჰყავდა, ბერიკაცმა თავი ქვას მიარტყა და გაიცინა.

— რა გაცინებსო? — ჰკითხა შვილმა.

— როცა მამაჩემს ამ გზაზე მივათრევდი, იმანაც სწორედ ამ ქვას მიარტყა თავიო.

შვილი შეჩერდა და დაფიქრდა.

— რაზე ფიქრობ, ხევში აღარ მიგყავარო? — ჰკითხა მამამ.

— იმაზე ვფიქრობ, რომ ხვალ, ალბათ, მეც ამ ქვას მივარტყამ თავსო, — უპასუხა შვილმა, მამა ხელში აიყვანა და შინ დაბრუნდა. რამდენიმე წელი სახლში ჰყავდა დამალული.

ერთ დღეს ამ ქვეყნის ხალხი შეიკრიბა. ბეგი მოჰკვდომოდით და ახალი უნდა აერჩიათ. ვინც გამთენიისას მზის სხივს პირველი მოჰკრავდა თვალს, ბეგადაც იმას აირჩევდნენ. შვილი შინ რომ დაბრუნდა, მამას უთხრა:

— ხვალ დილას, მზის ამოსვლისას, საკრებულო შეიყრება და ვინც პირველი დაინახავს მზის ამოსვლას, ბეგიც ის გახდებაო.

— დილაზე ყველა აღმოსავლეთისაკენ დაიწყებს ყურებას, შენ კი დასავლეთისაკენ გაიხედე და მათზე უწინ დაინახავ მზის სხივსო, — უთხრა მამამ.

მეორე დილით შეიყარა ხალხი. ყველამ აღმოსავლეთისაკენ დაიწყო ცქერა. ბერიკაცის შვილმა კი დასავლეთით გაიხედა და პირველმა დაინახა მზის ანარეკლი მაღალ კლდეზე.

— აი, მზეო! — შესძახა. ხალხი იმ მხარეს მიბრუნდა და ყველამ დაინახა მზე.

— ეს საიდან იცოდით? — ჰკითხეს კაცს.

— მამაჩემმა მასწავლაო.

მაშინ მიხვდა ხალხი, რომ თურმე მოხუცები საჭირონი ყოფილან. აღარავინ მიათრევდა ლერწჩაბმულებს, პატივისცემით ექცეოდნენ.

ყელწითელა

ოდესღაც ჩერქეზეთში ცხოვრობდა ერთი კაცი, კაცს ჩანჩა ერქვა. ბევრი ამხანაგი და მეგობარი ჰყავდა. მისი სასტუმრო სახლის კარი სულ ღია იყო გამვლელ-გამომვლელისათვის. დაუპურებელს არავის გაუშვებდა. ერთხელ მის კარ-მიდამოში ერთი ცხენოსანი გამოჩნდა და მასპინძელს დაუძახა. ჩანჩა სტუმარს გაეგება.

— შემოდო, — შეიპატიუა.

— ძალიანაც მინდა შემოსვლა, მაგრამ არ შემიძლია. მტერი კვალში მიდგას, საცაა დამეწევა. თუ გაუუშვლავდი, შემოვალ, თუ არა და, შენს სახლს გვერდზე ჩავუვლიო.

— თუ სტუმრად მოსულხარ, შემოდი. შენს თავს არავის დაუნებებ, სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდესო.

მხედარი ჩამოქვეითდა და სასტუმრო სახლში შევიდა. ცოტა ხანში მღევარიც გამოჩნდა. მასპინძელს დაუძახეს. ჩანჩა გაეგება.

— თუ სტუმრად მოსულხართ, შემოდითო.

— ვერ შემოვალთ. ვიცით, ვისაც ვეძებთ, მანდ იმალება. ის გვინდაო.

— ის ჩემი სტუმარია და სტუმრის ღალატი კი არ იქნებაო, — უპასუხა ჩანჩამ, მაგრამ, როცა შეატყო, რომ მომხდურებმა მისი ნათქვამი ვერ გაიგეს, დაუმატა:

— უწინამც თავს გაეწირავ, ვიდრე სტუმარს უულალატებო.

მაშინ მღევარი გაბრაზდა. კარისაკენ წაიწია. ჩანჩა წინ გადაუღვა და:

— აი, ჩემი თავიო! — შეუყვირა.

მოსცვივდნენ ცხენოსნები ჩანჩას და თავი მოჰკვეთეს, მაგრამ, ღვთის ნებით, ჩანჩა ყელწითელა (სისხლისაგან) პატარა ჩიტად იქცა და ცაში აფრინდა. იმავე წუთს ცხენოსნებიც ფრინველებად იქცნენ. ყელწითელა პატარა ჩიტი ზამთრობით სოფელში მოფრინდება ხოლმე, სახლებში შეფრინდება და გამოფრინდება. ცხენოსნები კი ღამის ფრინველებად იქცნენ, ტყეში ემალებიან ადამიანის თვალს, ღამლამობით დაფრინავენ, ნანობენ ჩადენილ ცოდვას და იძახიან: “ჰუ-ჰუ-ჰუ-ჰუ!”

ამიტომ კარგად მოექეცი სტუმრად მოსულ კაცს, თუნდაც სიცოცხლის ფასად დაგიჯდეს.

ერთხელ მეც ვიყავი ჩანჩას სოფელში. დიდი ღღესასწაული იყო. ხალხში გავერიე, ვიცეკვე და ვიბღურე, ვჭაბე და ვსვი. წამოსვლისას საქონლის ნახევარი თავი მომცეს. წამოვიღე, ვიფიქრე, ვინც ჩემს ზღაპარს მოისმენს, იმას ვაჭმევ-შეთქი, მაგრამ გზაში ავი ძაღლი შემომეფეთა. ის ნახევარი თავი იმას მივუგდე, გზა რომ დაეთმო. ასე მოვედი შინ. ესეც ზღაპრის დასარული. გუშინ რომ იქ ვიყავი, ღღეს აქა ვარ.

ქუშიკუ ბები

იყო ერთი ბები. გამულმებით ომობდა. წავიდოდა სადმე სალაშქროდ და ორი-სამი წლით დაიკარგებოდა, დალაშქრავდა კაზაკთა ქვეყანას, წამოასხამდა ტყვეებს და ასე გრძელდებოდა წლიდან წლამდე. ღღედალამ იბრძოდა. სხვა საქმე არცა ჰქონდა და არც იცოდა რამე.

ბოლოს დაბერდა და სალაშქროდ წასვლა ვეღარ შეიძლო. მის მეზობლად ერთი ახალგაზრდა ბები ცხოვრობდა, ქუშიკუ ერქვა. იხმო მოხუცმა ბებმა ქუშიკუ და უთხრა:

— მე უკვე დავბერდი. ამიერიდან ბეგის მოვალეობა შენ უნდა იკისრო. მე რაც ვიცოდი, ყველაფერი გასწავლე. ახლა შენ იცი, როგორ დაიცავ ქვეყანასო.

დაიწყო ახალმა ბებმა სალაშქროდ სიარული. თავს ესხმოდა კაზაკთა ქვეყანას, იბრძოდა და საკუთარ მიწა-წყალს იცავდა. შინ დაბრუნებული ჯერ მოხუც ბებთან შეივლიდა და უამბობდა ყველაფერს, რაც ენახა და გაეგონა.

ერთხელაც ქუშიკუმ სამი წელი გაატარა ლაშქრობაში. შინ დაბრუნებისას თავის მხლებლებს გამოასწრო და პირდაპირ მოხუცი ბეგის სასტუმრო კარავში მივიდა. იქ მეზობლებს მოეყარათ თავი. ქუშიკუ ხელზე ემთხვია მოხუც ბეგს და განზე გადგა.

— კეთილი იყოს შენი დაბრუნება. რა ამბები ჩამოიტანეო? — ჰკითხა მასპინძელმა.

— რაც ვნახე, დიდი არაფერია. მხოლოდ ერთმა ამბავმა გამაოცა. გუშინწინ დილას გზად ერთ ხესთან გავიარე. ხეზე სამი წყვილი ფეხსაცმელი დავინახე. ერთმანეთს ერხებებოდნენ. სამივეს

ხის კენწეროზე ასვლა უნდოდა და ერთმანეთის გადმოგდებას ცდილობდნენ.

– რას იზამ, ხდება ხოლმეო, – თქვა მოხუცმა ბეგმა.

– გუშინ დილას კი – განაგრძო ქუშიკუმ – ძალზე ლამაზი არსება ვნახე. ასეთი სილამაზის შექმნა მხოლოდ ღმერთს თუ შეუძლია. ვიფიქრე, შევისვენებ და ამ სილამაზით დაეცტკებები-მეთქი, მაგრამ რომ მიუუახლოვდი, ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. ეს არსება მხოლოდ კისრის ზემოთ იყო ლამაზი. კისრის ქვემოთ კი ჭუჭყსა და სიბინძურეს აეცსო. ამ დილით კი დიდი ველი გადავიარე. ველზე ხალხი შეკრებილიყო. ვნახავ, რაზე შეკრებილან-მეთქი, ვთქვი და მიუუახლოვდი. ვხედავ, ღვთის მიერ ჩვენთვის ნაბოძებ წიგნებს ხევენ და ტალახში ყრიან. ამანაც ძალიან გამაოცაო.

მოხუცმა ბეგმა დიდხანს იფიქრა, შემდეგ თქვა:

